


ნობელის



შინაარსი

I—სოფელში.—დექსი, ი. კვდომეილისა	3
II—გაქირვების მახარა.—ცქვატისა	4
III—ნადირთა პატრონი.—(გაკრძელება) ვაჟა-ფშაველასი	13
IV—დილა.—დექსი, ქუჩიშვილისა.	17
V—ცელქის დღიურიდან.—(გაბბერტონისა) იასონ ნაკო- დაიშვილისა.	19
VI—ლევ ტოლსტოი.—(თახმოცა წლან აუბაჯეის დღეს) ნინო ნაკაშიძისა	29
VII—მადლიერი ღოშვი.—(რომაელთა თქმულება) ვ. სეკეტლო- ვისა, კლ. ანტონოვსკისა	40
VIII—განძი.—(ფრანკულით) ანტონისა	53
IX—მითოლოგია.—ტროადან ოში, (შებრალება) ა. მიქა- ბერიძისა	59
X—გასართობი:—ა) ხალხური ლექსები, (წარმოდგენილი თეო კანდალავის მიერ). —ბ) კიბორჩხალა და მისი შვი- ლი, (გზომის იგაჟი), ღ. დედაშვილისა. —ვ) რებუ- სები (წარმოდგენილი ბრაუსელის შადარა ქართულ ვახ- ტანგ უბაძარისა და მის ამხნავებისაგან). და ახსნა	63



საქართველოს
საქართველოს

ნაპაღ უღი

საქართველოს შუკნალი

წელიწადი მისთვის



საქართველო, 1908 წ.



ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამოცემულ

შინაარსი

I—სოფელში, —ლექია, ი. კვდოშვილისა	3
II—გაქირვების მასხარა —ცქვიტისა	4
III—ნადირთა პატრონი. —(კაგრძელება) ვაჟა-ფშაველასი	13
IV—დილა. — ლექია, ქეზიშვილისა.	17
V—ცელქის დღიურიდან. — (კაბკერტონისა) ანსონ ნიკო- ლაიშვილისა.	19
VI—ლევ ტოლსტოი. — (ოთხმოცი წლის იუბილეს დღეს) ნინო ნაკაშიძისა	29
VII—მადლიერი ლომი. — (რომაელთა თქმულება) ვ. სვეტლო- ვისა, ედ. ანტონოვსკისა	40
VIII—განძი. — (ფრანგულით) ანტონისა	53
IX—მითოლოგია. — ტროადის ომი, (შებრალება) ა. მიქა- ბერიძისა	59
X—გასართობი: — ა) ხალხური ლექსები, (წარმოდგენილი აქო კანდაღაკის მიერ). — ბ) კიბორჩხალა და მისი შეი- ლი, (ესომის იგავი), დ ლეღაშვილისა. — გ) რებუ- სები (წარმოდგენილი ბრიუსელის მადრას ქროიკელ ვახ- ტანგ ჭაბაღაძისა და მას ამხნაგებისაგან). და ახსნა	63



2/9

სოფელში


წისკვილი აღარ ხმაურობს
და ბეროც დაობლებულა,
სოფელი დამშეულია,
ერთიან დაღონებულა.

აღარც ბედელში ხორბალი,
არც საქონლისთვის საკვები,
იმათი ლეშით აესილა
მინდორი, ქალა, ღრანცები!

შიან დიდსა და პატარას,
ჭირი მოადგათ კარზედა,
უბედურება ტრიალებს
საწყალი გლეხის თავზედა!

არა ხმაურობს წისკვილი
და ბეროც დაობლებულა,
სოფელი დამშეულია,
ჭირის და დაღონებულა!

ი. ევდოშვილი





ბაჭირვეზის მასხარა

ქვენიერი გაზაფხულის დილა იყო. ახლად გაცოცხლებული ბუნება კობტა პატარძალივით გამოჰქიჟულიყო და სიტკობებით იღიმებოდა. აქამომდე გულდასშული მდევრებით შთები, ახლა შორს, ლაგვარდის ქვეშ ზურმუხტის ფრად გადაკლანილიყო, მხოლოდ მის გარშემო კი სულ განაბული ხშირი ტყე წყნარი შრიალით



მთის ძირას სიცოცხლით აღგზნილს სოფელს რაღასაც ვხედავ, ჩულებოდა. აყვავებული სოფელი დულდა სიცოცხლით. ისედაც კობია და ლამაზ ვენახს გლეხის ძლიერი მარჯვენა ამ დროს სიხარულით და სიმღერით ერთი ორად ამშვენებდნენ. ყველა გაართული იყო თავის საყვარელ საქმეში, ყველა გულმოდგინედ მუშაობდა და თავის ნამუშევარს თითონვე ხედ დახაროდა; მხოლოდ საბრალო, გულჩათხრობილი ნინიკა კი ამ დროს ქალაქისკენ ეშურებოდა. ხელში დიდი კომბალი დაეჭირა; ხელცახოცში გამოკრული პურები ილღიაში ამოედო და თავ-ჩაქინდრული კენესა-ოხვრით სოფლის ბოლოს მიჩლატუნედა. გვერდით პატარა ტილა ტირილით მისდევდა და სლოკინით ვევედრებოდა:

— შენი ქირიმე, მამი, მალე მოდი, თორემ ვინ იცის, რა დაგვემართოს, მალე დაბრუნდი, შენ თავშემოგველე.

— სუ, ბიკო, აბა რა გატირებს, შვილო? აქ რომ დაერჩე ღვთის ანაბარას, რა უნდა გავაკეთო? სახნავი მიწა მე არა მაქვს, ვენახი მე არ მაქვავია, დღიურ მუშადაც აღარავინ პაყენებს და აბა მაშ რა უნდა ვუყოთ? სული წმინდა ხომ არ გვაცხოვრებს, ჰამა არ გვინდა ან, ხარჯები რომ შემოგვაწერეს, გადახდა არ უნდა, შვილო?.. რა გატირებს? ჩავალ ი ქალაქსა, საქმე იქ ბევრია, დღიურად სადმე ვიმუშავებ, ერთი ორიოდ გროშას შევაგროვებ და ი კალოობას იქნება პირი ისევ აქეთ ვიბრუნო.

— საით, ნინიკა, საით მიეშურები. რა ქენი ადამიანო, აღარ იშლი ქალაქ წასვლასა? — გადმოსძახა ამ დროს ლილიამ თავის ვენახიდან, თოხნას თავი დაანება და თოხის ტარზედ დაყრდნობილმა თანაგრძნობით შეხედა. ნინიკა შედგა. ერთს წამს ხმა ვერ ამოიღო, საღამის მაგივრად კი თავი უფრო დაბლა დახარა და კომბლით მიწას ჩიჩქნა დაუწყო.

— ეჰ, აბა რა ვუყო, შენი ქირიმე, ბარემ არც მე მიამჯეს ე ტიალი გული ი ვერანაში, მაგრამ ე ღვთის ამარა ცოლშვილის პატრონი ცარიელი თავით რას გავხდები? —

უპასუხა რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ ნინიკამ და აქედან
 დე დაკავებული ბოლმა ერთ წამს მსხვილ ცრემლებად გად-
 მოეჩქეფა.

— ბარემ სიკვდილზე მირჩევნიან ეხლა იქ ჩასვლას, იმ
 დროს, როცა ქვეყანა თავის მიწა-წყალზედ ხარობს, ჩემი საწყ-
 ყალი ცოლ-შვილის ღეთის ამარად მიტოვება გულს ცეცხლს
 და გენიას მიკიდებს, მაგრამა... ჰეი.., შენი ჭირიმე, ლილია,
 ღვათიანი კაცი ხარ, შემობრალე და პატარა თვალ-ყური იქო-
 ნიე, შენ სიყმეს ვენაცვალე, თორემა...

— აბა რას ამბობ, ჩემო ნინიკა, მაგას რაღა თქმა უნდა.
 ასე შემტყვივა გული, ზიარების მადლმა ი შენ ოჯახზედ, რო-
 გორც ჩემ ღვიძლ ძმაზედ. ემაგაზედ შენ არხეინად იყავი, ეს
 არი კაცო, რომ შენთენ არი ძნელი უცხოვრებდა ქალაქში ჩას-
 ვლა, თორემ სხვაფრივ ფიქრი ნუ გექნება...

— ჰო, ჰო ჩემო ლილია. აგრემც ღმერთი გადღეგძელებს,
 შენი იმედი მექნება. ნათლია და ი მეზობლებიც დაპირდნენ,
 არას შევამჩნევიანებთო, მაგრამ... ე გული კი მწარედ შე-
 მომკენესის, ასე მგონია ცოცხალი ველარ დავბრუნდები მეთ-
 ქი. ძიან შეძნელება ე ჩემი სოფლის თავის დანებება. — ჩაი-
 ლულულულა კვლავ ნინიკამ, ჩოხის კალთით თვალეები მოიწ-
 შინდა და სოფელს სიყვარულით თვალი შემოაფლო. მისი ტი-
 ლა კი ამ სიტყვებზედ მამას გვერდში უფრო მაგრა მიეკრო
 და გულ-საკლავად ღრიალი მორთო.

— ნუ შიდიხარ, მამილო, შენი ჭირიმე, არ გვინდა შე-
 ნი ფულეები, დარჩი, ან მეც თან წამიყვანე. — ემუღარებოდა
 საბრალო და თან ჩოხის კალთებზედ ებლაუჭებოდა.

— ლილიამ თოხს თავი ანება, ლობეზედ მარდად გად-
 მოხტა, ბიქს ალერსიანად ხელი მოჰხვია და მამას ძლივს მო-
 აშორა.

— ნუ ტირი, შვილო, ნუ ტირი, შენი ჭირიმე. მალე
 მოვალ, ნუ გეშინიან. მანამდისინ კი შენ ე მა ლილიას-
 თან იყავი და მერე ღმერთთა ჩვენი მოწყალე. აბა, ლილია,



მშვიდობით იყავი, შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც უპატრონებ ი ჩემ სახლობას.— გამოემშვიდობა ნინიკა, ერთი კი შემოტრიალდა და აჩქარებული ნაბიჯით გაუდგა გზას. სანამ სოფელს გასცილდებოდა, აქა-იქ ვენახებიდგან მომუშავეთა ტკბილი ღიღინი და თოხის წყრიალი მადლიან მუშაობის სიყვარულს ერთი ორად უძლიერებდა და ანატრებდა. ფრინველთა ც ამ დროს ისეთი ყვირილ-ხივილი და ჭიკჭიკი გაუდიოდათ, რომ აღამიანი უნებურად ინატრებდა მათ სიხარულს და ბედნიერებას. გაშორდა სოფელს და ახლა აბიბინებულ გორაზედ ამართულ კვირაცხოველს მიუახლოვდა. მშვენიერი სანახავი იყო ამ დროს ეს ნახევრად დანგრეული და ცალ მხარეს ამომავალი მზის შუქისგან ოქროს ფრად შენათებული—ნაშთი. გვერდით უშველელეზელი მუხა თითქოს მფარველად ამოსდგომოდა. მის გარშემო კი ჩამოვარდნილ კარებადმდინ ჰირისფრად გადაფურჩქნილი ასკილი გვირგვინივით შემოხვეოდა. დანგრეულ კედლებზედ შოშიები შეხუნძლულიყვნენ და მზის ამობრწყინებას შეხზაროდნენ. ქვემოდ, სიოს აღერსით აღელვებულ მალალ ყანაში მწერებს ბზუილი გაუდიოდათ. ეს ადგილი ნინიკას ყოველთვის წარსულ ბედნიერებას აგონებდა: ბევრჯელ ყმაწვილ ბიჭობაში კარგი დრო და ქეიფი გაუტარებია, ბევრჯელ ჰარზლალოთი მის გვერდით ღამე უთევია და ცანგალა-და-გოკონაზედ თამაშობით ფეხები მოუღლია, მაგრამ დღეს კი გამოსამშვიდებლად მიეშურება, და თვითონაც არ იცის,—როდემდის. თავ ჩალუნული ნინიკა ავიდა საყდართან, მოწიწებით მუხლი მოიყარა და თახჩაში მიყუდებულ შემქვარტლულ კლდის ჯვარს თვისი ცოლშვილი და საყვარელი სოფელი შეავედრა; შემდეგ ფეხზედ წამოდგა და ძირს, ლურჯად მოკამკამე ცის ქვეშ საამურად გადაშლილ სოფელს ისე შეაშტერდა, თითქოს მის სურათს გულში იბეჭდავდა და სამუდამოდ ეთხოვებოდა.

— ჰეი, დიდება შენდა ქრიპტე ღმერთო! ნეტა სად ვიყავ აქამდისინა, რომ არ ვამჩნევდი! დახე, რა ღამაზია ედა-

ლოცვილი რომელი ქვეყანა, ან ქალაქი ემჯობინება? ბარემ ლამაზია, მაგრამ მე კი, ვინ იცის მთელ ზაფხულს ი გასაოხრებელში ამომძვრეს სული. დმერთო და კვირაცხოველო პატიოსანო, შენ მომიძარტე ხელი, რომ ერთი დროით ველირსო უკანვე დაბრუნებასა. დაათავა ლოცვა ნინიკამ, ქული მძიმედ ჩამოიფხატა და გზას გაუღდა.

* * *

ისედაც მოუსვენარი და დაუყენებელი ქალაქი მზიარულ ვაზაფხულს ძირიან-ფესვიანად შეეჩოჩქოლებინა და უარესად აეხმაურებინა. ათას ფრად დართული ხალხი კრელი პეველებით ირეოდა ქუჩებში. ეტლების მსვლელობისგან ისეთი მტვრის ბური იდგა, რომ ქუჩის პირად ახლად გადაფურჩქნილ ხეებს ერთ ციდაზედ დასდებოდა და ამძიმებდა. ხალხი ამას არც კი ამჩნევდა; პირიქით ყველას სახეზედ ისეთი სიხარული და სიამოვნება ეხატებოდა, გეგონებოდათ, მათი სიხარულისთვის და ბედნიერებისათვის თვალ-დამაბრმავებელი მტვერიც აუცილებელი არისო. ყველა მიეშურებოდა, გარბოდა, თითქოს უიმისოდ ქვეყანა გადაბრუნებით იმუქრებოდა. ქალაქის ბალთან ხომ თავ-პირის მტყრევა იყო: ხალხი, ძაღლები, ეტლები, ტრამეაის ვაგონები—ისე იყო ერთმანეთში არეული, რომ ადამიანს თვალს უჭრებოდა. ფეხის ჩლატუნი, ხმაურობა, სიცილ-კასკასი. ყურთა სმენა აღარ იყო.

ბალის ერთ მხრიდან მუზიკის ხმა მოისმოდა, მხოლოდ მეორიდან არღნების ქყვიტინი ადამიანს ქკუაზედ ჰშლიდა. სადღაც და ვიღაც როიალს ჩასჯდომოდა და ისეთი გაცხარებული უკრავდა, თითქოს ცდილობდა გარშემო ხმაურობა იმას დაეყრუებინა, მაგრამ რას გახდებოდა, როდესაც ბალის პირად წითელ-ყვითელ ლამპრებით, ხის ტოტებით და ბაირაღებით შეკრულ პროექტორიდან გრამოფონი ყელში წაქერილივით ისე გამოჰკიოდა, რომ გულ დაშვიდებულ ადამიანს ძარღვების სისუსტეს დამართავდა. მაგრამ ყველა ეს აყალმაყალი და ხმაურობა ბალის გასწვრივ მუზეუმის წინ თან და

თან უფრო ძლიერდებოდა. უკვე საღამო ეამი მოწვეულიყო. მუზეუმს ამ დროს ათას ფრად ბღღვრიალი გაჰქონდა. აურებელი ხალხი აწყდებოდა მის კარებს. ყველა ცდილობდა წინ წასულიყო, შესასვლელი ბილეთი ეყიდნა, და ახლად მოსული აფრიკელი ველური ენახა, რომელზედაც თითქმის ყველა გაზნებები და ქუჩებში გაკრული განცხადებები უშველებელ ასოებით ხალხს ნამეტანად აინტერესებდა. შიგ, მუზეუმში ხომ კლდეა აღარ იყო. ზოგი თეთრ დათვებს ათვალეირებდა, ზოგი უშველებელ გველეშს ზიზლით დასჩერებოდა, მრავალნი სხვა და სხვა ფრინველებს სინჯავდნენ, მაგრამ ერთობ ყველას ურადლებას კი ლურჯ ფარდის იქით, კუნკულში შეყუნტებული ველური იპყრობდა.

— დროით ასწიეთ ფარდა და გვაჩვენეთ ე რაღაც ეშმაკი მოგივანიათ. ესენი, შეილოსან, რაში მესაქიროებიან. ცოტა თავგები და ჩიტები მინახავს, ამაში რომ ფული არ მივცე! — შესძახა ერთმა მოუსვენარმა ახალგაზდა ქარხნის მუშამ და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოაჯირისკენ დაიწია, რომლითაც ის კუთხე რამდენიმე ნაბიჯზედ იყო გადაღობილი.

უეცრად ხარის ხმა გაისმა, ფარდის გვერდით კობტად გამოწყობილი ვიღაც კაცი ამაყად გამოიქიმა და ხალხს მოახსენა:

— ბატონებო! თქვენ ეხლა აფრიკელ ველურს იხილავთ, რომელიც ჩვენი იქ მოგზაურობის დროს დიდის გაჭირვებით შევიპყარით, მაგრამ, უმორჩილესად გთხოვთ, ხმას ნუ გაცემთ, ნურც დაიდრიჯებით, რადგანაც შესაძლებელია ველურმა სიბრაზემ წამოუაროს და რაიმე უსიამოვნობა მოგაყენოთ.

ამ სიტყვებთან ერთად ფარდა მძიმედ აიწია და ხალხს წინ რაღაც საშინელება გამოჩნდა. ტიტველა; შავი ფეხები სქელი თასმებით ჰქონდა გადახლიართული. ტანზედ გულმოფლენილი ალისფერი მოკლე ჰერანგის მსგავსი რაღაცა ეცვა.

სახით ხომ გულშემზარავი იყო: მგელივით თვალე დაჯყუტილს და ცალ-ულვაშას გაწეწილი მატყლივით თმები შუბლზედ ხშირად ეყარა, ქუდის მაგივრად კი თმებში დიდროხი ფრთები ერქო. მის დანახვაზედ ზოგმა ფრუტუნეი მორთო, ზოგიც გაკვირვებით შესჩერებოდა და თავით ფეხაჰდინ ყურადღებით ათვალეირებდა. ახალგაზდა ქარსნის მუშამ ამხანაგით უფრო წინ წაიწია და შეაშტერდა.

— ე, ბიჭო, ვანო, მართლა ეშმაკს არა ჰგავს!.. ეს ნამდვილად მზისგან იქნება ასე დამწვარი აი. ე რალაც ფრთები რომ არ ერქოს, სწორედ ჩვენისთანა იქნება

— ბიჭო მიხა, თვალეებს დახე, თვალეებსა! გამჩენი მალმა ჩვენებიანთ ნინიკას თვალეებს უგავს, აბა დააშტერდი.— ჩასციებოდა ვანო და თან გულიანად ხარხარებდა.

ამის გაგონებაზედ ველურმა თვალეები უფრო დიდად აჯყიტა და სწორედ იმ დროს, როცა გვერდზედ მდგომ კაცს ვითომ ნიშნებით მიბრუნ-მობრუნება უნდა ეჩვენებინა, მან უეცრად წინ წამოიწია და შესძახა:

— მოიცა, შენი კირიმე, ძლავს ჩვენებური ბიჭები არა ენახე! ავერ ჩენი მიტრუას ბიჭი. ვანო, ბიჭო! პატარა წინ წამოდექი, მე ვარ... მე... — აქ უცბად ხმა ჩააწყვეტიწეს, ფარდა ჩამოუშვეს, მაგრამ თვითონვე დავთრებ დაკარგულეებმა თავვის სორო მონახეს, რადგანაც ხალხი დრტვიწავდა, იციწოდდა და იმუქრებოდა.

* * *

ლაშის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც პოლიციამ საქმე ძლივს გაარჩია, საბრალო ნინიკა უღანაშეულოდ სცნო და გაათავისუფლა. ვანო და მიხა იქვე ელოდნენ.

— აღამიანო, რამ მიგაგნებინა მაგ ავაზაკებთან, ან რა კკუაში მოგივიდა მაგისთანა მასხარობა? — ეკითხებოდნენ ნინიკას და მიყრუებულ ქუჩაში გაჩქარებულნი მიდიოდნენ.

— რამა და ღმერთმა რომ ამოსწყვიტოს ჩემისთანა უბედური კაცი, იმანა! ი ტიალ სოფლიად სამუშაო რომ ვერ ვი-

შოვე, ავდექი, დავადექ ქალაქის გზასა და ჩამოვედი. ასე შეგონა სამუშაოს აქ ადვილად ვიშოვნო მეთქი, ორიოდ გროშს მოვაგროვებ და ი ცოლ-შვილს სიმშლით ამოწყვეტას გადავიარჩენ მეთქი. ის კი არა და, ჩამოველ თუ არა ე ცეცხლ ჩასავარდნელში, ჯერ თავ-გზა ისე დამეკარგა, რომ რატო ერთი ათჯერ მაინც არ ამერიო ი გზები და თავ-ბედი არ მაწყველინა. მერე, ბარემ ერთი კვირა მეტი ვეხეტიალე, სამუშაოს ვეძებდი. ხან საღ შევყავი თავი, ხან ვისა ვთხოვე, მაგრამ ყურსაც არავინ მიგდებდა, ყველგან კროები მუშაობდნენ. ბოლოს, რაკი საქმე გამიჭირდა და ი ორიოდ გროშიც შევკამე, ვიფიქრე ე უცხო ქვეყანაში მშიერს სული უპატრონოდ ამომძვრება მეთქი და... აქ ხმა ჩაუწყდა, მთელი ტანით ათრთოლდა და ქვითინი მორთო.

— ავდექი და... რაკი სიმშლიმაც ძალა დაატანა... გადავწყვიტე ორიოდ კაპიკი მომეთხოვნა... ამისათვის ცირკთან რომ ბევრი ხალხი ტრიალებდა, იქ შორიახლო ხ-ს ქვეშ დავდექი და ხელ-გაშვერილმა სამარცხვინოდ თხოვნა დავწყვე. ვიდექი ესე რამდენიმე დღე. ხალხი თითქოს არცკი მაჩვენედა, არაფერს იმეტებდა. ღამეებსაც ქუჩაში შიშით ვათენებდი. ერთ დღეს ძალიან ჩაფიქრებული ვიდექი; სევდა ისეთ ნაირად შემომაწვა, რომ თხოვნაც კი დამავიწყა. უცებ ვილაც კაცი მომიახლოვდა და მითხრა: ძმობილო, აბა ტყუილად მანდ რას უდგებხარ, წამო, ეხლავე ოცდა ხუთი მანეთი აგაღებინოვო. გამიკვირდა, მაგრამ უფრო მეტად მეწყინა: ვიფიქრე, დამცინის მეთქი და ვიტვრინე, ხმა არ გამიცია. ან კი შე უბედურს, რა დამაჯერებდა, როდესაც მაგოდენა ფული სიზმარშიც არ მომლანდებია. რაკი დამატყო, რომ არ ვუჯერებდი, ქრატემ შეაჩვენოს, ასეთი რიგიანი სიტყვა მითხრა და ისე მომილაქუცა, რომ ჯერ კინაღამ დავუჯერე, მაგრამ უცებ გულში ისევ შიში შემეპარა, ვსთქვი აქ არ მომკლას, ან ქურდობა არ დამაბრალოს მეთქი და უკან დავიწიე, მიწოდოდა გავქეუულიყავი, მაგრამ დამიჭირა... შემომფიცა, არას

გიზამ, ოცდა ხუთ მანეთსაც მოგცემ, თუ ისე მოიქცევი! გორც დაგარიგებო. აქი ღმერთი არ გამიწყრა და დავთანხმდი! წავეყ, შენი ჭირიმე, თუშკა შიშისაგან ცახცახი გამქონდა, რადგანაც არ ვიცოდი, რას მიზამდნენ და ან რა ჯოჯოხეთში შემაგდებდნენ. მისვლისათანავე წარბები და ცალი უღვაში მომპარსეს, თავზედ ათას ნაირი მატყლი და ძონძები დაჰადეს, ტანზედ და სახეზედ შავი კუპრივით რაღაცა წაშისვეს და იკუთხეში გამაშეშეს. გავიდა ერთი ღამე, გავიდა მეორე, გავიდა მესამეც. მაგრამ ჩემ გათავისუფლებაზედ არავინ ფიქრობდა. ჯერ-ჯერობით არც ფულს მაძლევდნენ; სამაგიეროდ ე მუხლები და წელი უბედურად მიშეშდებოდა. ერთხელ ვცადე, შევევედრე, — ცოლშვილის პატრონი ვარ, დროით გამიშვიტ მეთქი, — მაგრამ ვინ იყო ყურის მგდებელი? ვიყავ ესე უცხო ხალხში და უცხო ქვეყანაში, ვაისა და გაქირვებაში. ბოლოს, ვიფიქრე ესენი აქ რომ ფულით გაივსებოან, მერე სხვაგან წასვლას დააპირებენ, ნამდვილად მეც შემბოქავენ და ძალად წამათრევენ მეთქი, და შიშით კინაღამ გადავირიე; გადავწყვიტე, რაც უნდა მომიეიდეს, ხალხი რომ შემოვა, ვისკუპებ და გადავხტები მეთქი. მაგრამ... ღმერთმა გიშველოთ თქვენა, მადლობა უფალსაც, რახან შეშველა და თავი დავახსრე... მე... უბედურმა ..

ცქვიტი.





ნადირთა კატრონი

(გაგრძელება)



ამეა. თითო-ორჯელა ღრუბლის ნაქერი დასეირნობს წყნარად ცის გულ-მკერდზე და მთვარის სხივებს უშლის გაანათოს ხშირი ტყით დაფარული არე-მარე. მაღალ სერზე, დიდრონ წიფლის ძირას ზის ელიზბარი. დილით აღრიან წამოვედა სანადიროდ. მთე-

ლი დღე ტყუილად დააღამა, თვალით ვერაფერი განიცადა. ზურგი მიუბჯენია წიფლისთვის და თოფი, თითქო გულზე დედას შეილი მიუხუტებიაო, ისე უქირავს. ყურ-გაფაციცებული, მოუთმენლად მოელის ირმის ყვირილს. ტყეში მყუდროებაა. მხოლოდ თრითინების „ქიიიტ-ქიიიტ“ აღვიძებს მიდამოს. შორს, ძალიან შორს, საბრალო ხვით ბუ გაქივის... ტყით დაფარული გორაკები ზოგან ერთმანეთზე მიყრილი, ზოგან ერთი მეორესაგან ვაკე დაცემული ადგილები დაშორებული, ერთს დიდს გამოუჩვენებს საიდუმლოებას წარმოადგენდა.

შუა ღამე გადავიდა. ელიზბარს ჯერ თვალი არ მოუხუ-
 ქავს. თუმც ძილი ნელა-ნელა ეპარებოდა იმ დღის ნაველს;
 ეკიდებოდა თვალეზზე როგორც ფოთოლზე წვიმის ცვარი.
 უმაგრდებოდა ძილს, ჯიუტობდა არა ჰნებდებოდა ბუნების
 უღმობველს კანონს: ცოტას რომ წასთვლემდა მალე ისევ
 გააქყეტდა თვალებს და მახვილ სმენას მიუპყრობდა მის წინ
 გადაშლილ არე-მარეს; ბუ ისევ გაჰკიოდა... დაკივლა და მი-
 ჩუმდა. სხვა რაღაც მოესმა ელიზბარს ისე როგორც ზარის
 ხმა—გაუარა ამ ხმამ ჟრუანტელად მთელს ტანში, შეათამაშა
 ფოთლები და გაჰქრა. „ძლიეს, ოჰოო“, წარმოსთქვა მან:
 „მადლობა ღმერთს!“ და გადაიწერა პირ-ჯვარი. ყური უფრო
 გულ-შოდგინედ დაუგდო, დახრილმა ცალი ყური თითქმის
 დედა-მიწას შეახო. ხმა უფრო ცხოვლად მოესმა. ირმის ყვი-
 რილი შორიდან ისმოდა მაგრამ თან და თან უფრო გარკვე-
 ვით. „პირ-აქათ არის“, წარმოსთქვა თავისთვის ელიზბარმა:
 „აჰ, ნეტავი ცოტას კი დაჰნამავედა ეს დალოცვილი“.

ელიზბარმა ბევრი აღარ დაახანა, გაემართა იქით,
 საითაც ირმის ყვირილი მოდიოდა, რომ საგათენებოდ, მიჰ-
 სვლოდა ახლოს და ესროლა თოფი. მიდიოდა ტყეში, კლდე-
 ლრეებზე სვენებ-სვენებით თან ყურს უგდებდა, სხვა არაფერს
 ყურადღებას არ აქცევდა; მთელი მისი გული და გონება
 მისწრაფოდა ირმისაკენ. ზოგან შველი გაექცა, სხვაგან მგე-
 ლი ირმის პარებაში, მაგრამ არა ნადვლობდა. ერთ ადგილს
 პანტაზე ნაჯდომმა დათვმა მოილო ზღაპა და თავ-ზარ-დაცე-
 მულმა წაიღო ლაზა-ლუზი. „წადი, ირბინე, არა უწავს.
 ხვალ სადღა გამექცევი, დავითაე!“ ჩაილაპარაკა თავისთვის
 ელიზბარმა.

მიუახლოვდა ელიზბარი ირემს, ხმა ახლოდან ესმის, აღარ

იქნება იმათ შუა დიდი მანძილი. ელიზბარი ჩამოჯდა, დაისვენა. ნიავს არჩევდა, თენებამაც მოატანა...

გარიჟრაჟია. მონადირე ირმის კვალზე შედგა. ირემმა ყვირილი შესწყვიტა. ელიზბარმა თოფს ფალია გამოუცვალა. თვალებს ძლივს ახელს, გაბლანტებულია. აი ნაბოტარი ირმისა, ირმის სუნი მოსდის, ირმისგან რქით მოგრეხილს თხილსა და წიფლის ბონცვრებს ესევე სუნი ასდის ბუერებს და ბაღას სადაც ირემს ფეხი დაუდგამს, რისთვისაცკი ტუჩი მიუხლია. ფეხებს ელიზბარი ფრთხილად სდგამს, თვალებს იქითაქეთ აცეცებს მგელივით. ხამუშ-ხამუშ შედგება; ყველაფერი რაც კი თვალში ეხებება უნდა განკვირტოს თვალით. ფაჩაფუჩი მოესმა, ნალეწი გატყდა. ელიზბარი ხეს გაეკრა თოფი მოიმარჯვა... შესჩერებია გულის ფანცქალით დგნალებს საიდანაც ირმის ყოფნის ნიშნები მოესმა-და... აგერ რქები-თავი... დაჩნდეს.. კარგად დაჩნდეს... უცქერის გაშეშებული. ირმის რქებმა გააოცა. ყელი თავი და რქები უჩანს, სუნს იყრის. ჩამოჯდა ელიზბარი და დაუმიზნა თოფი. უცდის მხოლოდ რომ ტანი გამოაჩინოს... ღმერთო, ეს რა რქებია, კელპტრებივით ანათებს მისი შტოები! თეთრი ტრედივით ფრინველი დაჰფარფატებს-თავზე... ირემი წამოდგა წინ და მთელი მკერდი დაუჩნდა ის არის უნდა დასბლიტოს ელიზბარმა თავზე შემოაყენებული თოფი, რომ ირემს წინ აფეარა ხმალ-ამოწვდილი კაცი, ხელში ცეცხლის ხმალი უჭირავს და ემუქრება. ხელიც თითქოს ვიღაცამ დაუჭირა და ჩასჩურჩურა ყურში: „ნუ, ნუ! ჰაა, არ ესროლო ღმერთი არ გაგიწყრეს!..“ ელიზბარს მოუდუნდა მკლავები შემოაყენებული თოფი ხელიდან გაუვარდა. თოფმა დააგრიალა. და იქვე მიწაში მოჰხედა ტყვია ირემმა თავს უშველა...

მონადირე დიდხანს გაფითრებული იჯდა გაქვავებულივით ერთს ადგილას და გონზე ვერ მოსულიყო... როდის-

როდის მოეცა გონება. ადგა ბარბაკით. დიწყო თვალების
 ფშენეტა იწერდა პირ ჯეარსა და ამბობდა: „ღმერთო, შენ
 დამიხსენ ყოველი განსაცდელისაგანო!“ ჰოო, ვნახე, ვნახე.
 ის იყო, ის...

ვაჟა ფშაველა





ღ ი ლ ა



ვიშ, ტურფა რიერაჲ-დილოსა,
 გამჭრობ-მძღვეია წყედღადის;
 სხივი კრთის მის აღღილასა
 ბრწყინვალე მზისა დიადის.

ვიშ, ამ ბუნებას და კაცის
 მსულდგმულებელ ჰაერსა,
 დანაკურ მდელოს, მაღალ-ცის
 სიოს, სიკოცხლის შთამშერსა.

ვიშ, ამ მკურნალ კრემლოს წალკოტ მთის
 დაფრქვეულ - ჩამონაბანსა,
 რა რიგად ამკობს, ოდეს თრთის,
 მის კალთებს; მწვანე საბანსა.



აღსავეს სიამ-ტკბილობით
 ყურს ვუგდებ ფოთოლთ შრიალსა,
 დამთვრალი ფრინველთ გალობით
 ვსევამ, ვცლი ტკბილ ნექტრის ფიალსა.

ვიშ, ამ კორდიდან მომჩქეფარს
 სპეტაკ ნაკადის ჩხრიალსა;
 გაფურჩქნულ ვარდზე მჯდომ მყეფარ —
 ბუღბუღლის ხმა ტკბილ წკრიალსა.

დაბშული გული, გონება
 გააცოცხლ - აამღელვარეს;
 შორს, შორს ვაჰფანტეს ოცნება,
 დამხსნეს შავს ფიქრებს მწუხარეს!...

ქუჩიშვილი





ცელქის დღიურიდან

(ვაზბურტონისა)

თავი VII

ახალ-ახალი ნობათი

მ! გო.ხოვთ, ნუ ეხუმრებით ჟორჟ ხაკეტს. ის დღეს თაჲს სამშობლო ქალაქის გმირია; თვითონ მინისტრმა*) ჩამოართვა მას ხელი. ყველას ძალიან უხარია, რომ ის საძაგელი მაწანწალები დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. ამ ცოტა ხანში ოც სახლზე მეტი გაეცარცვათ. ნაპარავი ნივთები, ვერცხლი და ფულები სუყველა იპოვეს ტყეში, ხის ფულუროში შე ვაჩვე-

*) მინისტრს ჟორჟი მთავრებს ეძახდა.

ნე პოლიციას, სადაც ეს საძაგელი ხალხი ვახშამს აკეთებდა. ყველაფერს ახლავე მოგიყვებით.

როცა ასანთი აფანთე, თაროზე ჩვენი ქვაბები დავინახე, ლურსმანზე ჩვენი მზარეულის წინ-საფარი და საინზე პლომ-პუდლინგის ნარჩენი. გულმა ფანცქალი დამიწყა. მე მაშინვე ზევით გავიქეცი. „მამილო!“—დავიყვირე მე მის საწოლ ოთახში.—აღექით ჩქარა და დახოცეთ, თორემ ისინი დაახობენ გორეის“!...

რა ამბავი იყო და... ჯერ არავინ იცოდა, რა ექნა. ჩემი დის საქმრო თავის ოთახიდან გამოვარდა, პირფარეში-თავისიდან. დასტენეს ორი დამბაჩა და ერთი თოფი. ყველა ფაცი-ფუსუში იყო. ამ დროს ვილაცამ მოიფიქრა ეს ამბავი ქალაქის მსაჯულისათვის ეცნობებია. ის თავის პოლიციელებით მაშინვე ჩვენსა გაჩნდა. განთიადისას მე წამიყვანეს ჭზის საჩვენებლად. ხუთივე მაწანწალა დაიკირეს. რა თქმა უნდა ამას შემდეგ ველარ მიმიტყუებენ ისინი. დავრჩები შინ და კკვიანად ვიქნები.

—

აი, ორი კვირა გადის, რაც აღარ მილაპარაკია შენთან, საყვარელო დღიურო! შობა ახლოვდება. ლილიმ და მონტე-გიუმ სთხოვეს დედას და რკინის გზის მატარებლით წამიყვანეს თავიანთსა: ჯერ სასტუმროში ცხოვრობენ.

— აბა, შენ იცი, რა კარგად მოიქცევი,—მეუბნებოდა ლილი გზაზე.—სასტუმროში მრავალი ხალხი ცხოვრობს, სულ მალალი საზოგადოებაა, და მე არა მსურს, რომ ჩემი პატარა ძმა რცხვებოდეს სხვის ბავშვებთან.

— იციან კი მერმე, რომ მე ცელქი და ცუდი ბავში ვარ?

— ამას ისინი ვერასოდეს ვერ გავიგებენ, თუ შენვე არ აჩვენებ თავს ცუდად.

რომ მიველით, სადილის ზარსა რეკდნენ. მერე რა ნაირი სადილი იყო! საკვირველი! იმდენი საქმელი მოჰქონდათ,

რომ ვერც-კი დავთვალე მინისტრები,*) რომელნიც სტოლზე გვემსახურებოდნენ, მე ისე მეპყრობოდნენ, როგორც ღიძს. ჩემს პირდაპირ პატარა ქალი იჯდა. მშვენიერი აბრეშუმის კაბა ეცვა, წელზე განიერი ვარდის ფერი ქამარი ერტყა და ხელებზე თეთრი ხელთათმნები ჰქონდა. მშვენიერი, მეტად მშვენიერი ქალი იყო! მე სულ იმას ვუტკებროდი და იგი მე. მონტეგიუმ მითხრა, ნასადილევს ქვედა დარბაზში თუ თამაშის ნება მისცეს, შენც შეგიძლია იმათთან ითამაშო... პატარა ქალს მადია ერქვა. მე მასთან რამდენჯერმე ვითამაშე. საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ როცა პოლკის ვცეკვავდით, ერთ ბავშვს ფეხი წამოგვარ და იატაკზე გაითხლა, მაგრამ ეს ბევრი არაფერია! პირიქით სუყველამ ბევრი იცინა.

მე ლილის სასტუმროში ტახტზე ვიწეკი. დლით ადრე გამომეღვიძა, ავდექი, ჩუმად ჩავიცვი და ქალაქში გავიპარე. ჩვენს ქალაქზე ბევრად უდიდესი ყოფილა. უშველებელ მდინარეში ხომალდები ირევოდა. პირველსავე გამვლელს ვკითხე, რა მდინარეა მეთქი. „გულსონიო“, — მიპასუხა. მავადეკი ნაპირს, ხომალდი ხალხით სავსე იდგა. მეც ავედი, ყველაფერი დავათვალიერე და მივუბრუნდი იქვე მდგომ მეზღვაურს.

— მალე წავა ხომალდი?

— ჩვენ კარგი ხანია მივდივართ, — მიპასუხა მან. მართლაც ხომალდის თვლები გამალებულათ ტრიალობდნენ და ისროდნენ წყალს; ნავთსადგურიდან კარგა შორს ვიყავით. ესეც შენ!..

— გამოყვანეთ, თუ ღმერთი გწავთ, ნაპირზე! — ვუთხარი მას. მეზღვაურს გაეცინა.

— მოითმინე ცოტა, ჯერ დრო არაა.

— არ შეიძლება ჩემს დას დეპეშით ვაქნობოთ, თორემ იფიქრებს, დაიკარგაო.

*) ევროპის სასტუმროს ფარეშები მინისტრები ევონა.

— ჩვენ აქ ტელეგრაფი არა გვაქვს, — დამიყვირა მებლავურმა და წყევულმა კბილებიც კი დამიკრიჭა. ცრემლი მომადგა, მაგრამ არ მინდოდა, ეს სხვებს შეემჩნიათ და სტვენა დავიწყე. შემსცივდა; საუზმის ხანი იყო ოპ. რა მინდოდა ახლა შინ ყოფნა! სიცივისაგან მთლად გავლურჯდი. — „შედი ოთახში, იქ თბილა“ — მითხრა მებლავურმა. შევედი, იქაურობა ქალითა და კაცით სავსე იყო.

პირველად ყურადღებაც არაფერს მომაქცია, მაგრამ შემდეგ დაიწყეს კითხვა. ვასია ეს ყმაწვილიო. „მე შეცდომით მოვხვდი აქ,“ — ვეუბნებოდი. გარს შემომებვივნენ და დამიწყეს გამოკითხვა: რა მქვია, სად ცხოვრობენ ჩემი დედ-მამა. მე ყველაფერი ავუხსენი. ვუთხარი, რომ მე ვსწერ „დღიურს“, ვარ ძლიერ კული ბავშვი, ცელქი, უბედურება თან მდევს და ხშირად უდანაშაულოდაც მსაჯავენ. ახლა ლილი იტყვის, რომ მე სიგიჟით მოვხვდი ხომალდზედ; მე კი შინ დავა მენახა გემის თვლები ზღვაში როგორ „ტრიალობდნენ“ ერთმა ქალმა ფარეშს უბძანა ჩემთვის საუზმე მოეტანა. მერე ერთმა ბატონმა მირჩია ტელეგრაფი დამეწერა.

— დასწერე, — და, როცა ნიუიორკში მივალთ, ჩვენ გავვზავნი დანიშნულებისამებრ. იქვე საწერკალაპი მომცეს.

მე დავწერე:

„საყვარელო ლილი! მე ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ეს მომივიდოდა, დამნაშავეა ხომალდი. ნუ გეშინია. პატარა ყორყიკი ცოცხალია. დღესვე დავბრუნდები, სალამოს ხომალდით. უთხარი: უჩემოდ არ ისადილონ.“

ბატონმა მსახურს ერთი დოღლაარი მისცა და უბძანა ჩემთვის თვალყური ედევნებინა, მე კი მითხრა, აქედგან არ დაიძრაო. ხომალდი დადგა.

ახლმა ნაცნობებმა ხელი ჩამომართვეს და გამომეშვიდობენ; მე არასოდეს არ მინახავს ერთად ამდენი ხომალდი! შუა

დღე გადასული იყო. ხომალდი უკან სამ საათზე ბრუნდებოდა მომწყინდა ცდა. დავიწყე ვაშლის ქაშა, რომელიც საუზმის შემდეგ ერთმა ქალმა მომცა. უეცრად მომაგონდა, რომ ნიუიორკში ბეკის საქმრო, ბატონი ჯენნიგსი, ცხოვრობდა. „ჯერ კიდევ აღრეა“, — ვიფიქრე მე, ჩავალ და ვნახავ ბეკის საქმროს. მე გავეპარე მოსამსახურეს, თორემ ის არც კი გამიშვებდა. ღმერთო მოწყალეო! როცა ქუჩაში გამოვედი, მეგონა, ყველაფერს ცეცხლი ეკიდება მეთქი. რამდენი ხალხი იყო! ყველა მიზბოდა და ერთ ფაციფუცში იყვნენ... გადავედი ქუჩის მეორე მხარეზე და დაუწყე ძებნა კარებზე გვარის ზედწარწერას: „ჯენნიგსი“ ვერსად ვერ ვიპოვე. მივუბრუნდი ერთ კაცს და ვკითხე:

— ნება მიბოძეთ გკითხოთ, სადა დგას ბატონი ჯენნიგსი?

— არ ვიცი, ბალო! ვისმე სხვასა კითხე!

ცოტა რომ წავიარე, წინ ფურნე შემხვდა, შევედი და წვრილი პურები ვთხოვე.

— რამდენი გნებაეთ? — მკითხა მეპურემ.

— ცხრა — ვუპასუხე მე.

მან გამიხვია ცხრა კვერი მე ზრდილობიანად მადლი გადაეუხადე და წასვლა დაეპირე ხაბაზმა ისეთი დამიყვირა, რომ ჩემს ალაგას დათვი რომ ყოფილიყო, ისიც კი წაიქცევოდა.

— ფული, შე მაწანწალავ!

მე ვუთხარი, ნიუიორკში უცაბედად მოვხდი და ფული თან არა მაქვს მეთქი. დავუბრუნე პურები უკან და წავედი ძლიერ მოწყენილი... მივდივარ და ვინც კი წინ შეუხვდება, ყველას ვეკითხები: „ნება მიბოძეთ გკითხოთ, როგორ მივიღე ხომალდთან, ან სადა ცხოვრობს ბატონი ჯენნიგსი?“

მაგრამ ვერავინ მიმასწავლა. აი, სულელი ხალხი! ფანჯარაში დიდი საათი დავინახე, ოთხი საათი უკვე გასულიყო.

მე დავიწყე ტირილი. ხომალდი სამ საათზე უნდა გასულიყო... მე კი ფეხები ერთიანად დამაწყდა მივდივარ და მივტირი... უეცრად მკლავში ხელი წამავლო ვილაც კაცმა.

— ბალო, რა გაღრიალებს?

— ოჰ, ბატონო, რატომ ფეხები არ მომტყდა, სანამ იმ გემში ჩავჯდებოდი! რად წამოვედი იქიდან, ან რად არის თქვენს ქალაქში ამისთაშა სულელი ხალხი! ვერაიენ მიასწავლა საწყალ უცხო ბავშს ბატონი ჯენნიგსის ბინა. მე, ჟორჯი ხაკეტს, ბატონო, მუდამ უბედურება მემთხვევა, თუნდა დამნაშავეც არ ვიყო... ხომალდს რომ ჩემთვის მოეცაღნა, ახლა მე ლილისთან ვიქნებოდი. ვანა ესეც ჩემი ბრალია?..

— კარგი, ჟორჯი, — თუ შენები დაკარგე, ჩვენ ვეცდებით ისინი მოვებნათ. — და თავის სახლში წამიყვანა.

ძალიან კეთილი კაცი იყო, მაგრამ მეტის მეტად ცნობის მოყვარე: მომყვა გამოკითხვას ვახშმის ჭამაც კი აღარ მცალა ..

დამაწვინეს რაღაც ზანდუკის მსგავს ტახტზე, მაგრამ ძალიან კარგად მეძინა. ძილში უკებ მომესმა, რომ ჩემს თავზე ვილაც ჭვითქვითებს. გამოვიღვიძე, წამოვეყავ თავი და თვალების ფშენეტა დავიწყე. ჩემთან ღვას ლილი, ტილოსავით გაფითრებული, დასისხლიანებული თვალებით და მეუბნება: — ო, შე საძაგელო, საძაგელო, საყვარელო ბიჭო! — მონტეგიუც იქვე იდგა. ისინი წამოსულიყვენ რკინის გზის მატარებლით, როცა ხომალდით დაბრუნებული ველარა მნახეს. მაშინვე გამოკითხვა დაეუწყე: სწყენოდა მაღიას ჩემი დაკარგვა? მიცდიდნენ სადილად, თუ არა? რად ტირის?

— ეტირი სიხარულისაგან, შენ რომ გიპოვენე, — მომიგო ლილიმ.

რა საყვარელია ჩემი ლილი! მართლა რომ დაკარგულ ვიყავ, კიდევ ჰო; მაგრამ ხომ მიპოვნა, ახლა რაღად ტირის? მე გამოვეთხოვე ჩემს მისპინძელს, ვთხოვე ჩვენთან სტუმრად მოსულიყო როდესმე და ღამის გასათევად სასტუმროში წავე-

დით. ლილის საიდუმლოდ ეუთხარი, რომ ბატონი ჯენინგსი არც ისეთი დიდი ვინმე ყოფილა, როგორც ბეკვი ფიქრობს, ნიუიორკში იმას თითქმის ვერაფერ იცნობს მეთქი.

თავი VIII

კიდევ დანაშაული

...ბედი არა მწყალობს და არა! მამამ მიმაბარა პანსიონ-ში პროფესორ პიტკინსს; მაგრამ იქ ერთ თვესაც არ დავრჩენილვარ. ბევრი არც არაფერი უსწავლებიათ, მაკმევდნენ ხარშოს და სხვა საძაგელ საქმელებს, ყოველ დღე მსჯიდნენ, მხურავდნენ „ვირის ქუდს“ და მეძახოდნენ ქურდს, რადგან იატაკის ნახვრეტებიდან გრძელი მავთულ თ ვითრევიდი ყველაფერს, რაც კი პროფესორის დის ოთახის იატაკზე მოიპოვებოდა. პანსიონიდან დამითხოვეს და გამგზავნეს შინ. რკინის ჯზის კონდუქტორს სთხოვეს, ყური უგდეთ, და ძლიერ კარგადაც მივიღიდა მე საწყალს. ვწუხვარ, რომ დები გათხოვილი მყავს და ბეკვიც დანიშნული, თორემ დიდი სიამოვნებით მივათხოვებდი მას ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც კი თითონ აირჩევდა ამ ხნის განმავლობაში ბევრი უბედურება ჩავიდინე და სულ უცაბედად. მაგალითად, განა ჩემი ბრალია, რომ ჩემი ამხანაგი ჯენი. რომელიც ჩემი თხოვნით ხეზე ავიდა ჩემი ერქნის ჩამოსაღებად, ძირს ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა? ხეზე კარგად ასვლა რომ სცოდნოდა, ხომ არაფერს მოიტეხდა. ან, განა ჩემი ბრალია ბეკვის რომ გული შეეუწუხდა და მთელი ოჯახი შეაძრწოლა? დაიყინა, ჩემს ლოგინ ქვეშ ყაჩაღობო! მამაჩემის ხალათი კი იყო თივით გატენილი... მინდოდა გამომეცადა ჩემი დის სიმამაცე. ბოროტი განზრახვით ხომ არ შიქნია. ფიქრადაც არ მომსვლია, თუ ბეკვის ასე შეეშინდებოდა.

ღიახ, სუყველა უსამართლოდ მექცევა!



რამდენჯერ დამპირდნენ ველოსიპედის ჩუქებას! მამაც დამპირდა, თუ ცელქობას მოიშლი, პატარა ცხენს გიყიდის, რომელსაც ყასაბი ჰყიდდა. მე წინდაწინვე აღვუთქვი ყასაბს საჩუქარი, თუ „ჩემს“ ცხენს კარგად გამისუქებდა. მაგრამ ჯერ არც სადმე პონია და არც ველოსიპედი. უფრო საკვირველი ის არის, რომ მე მლინძღვენ, მსჯიან, მაგრამ ჩემზე გულმოსულობა დიდხანს არ გასტანთ. ალბად იმიტომ, რომ მე ყოველ ღონესა ვხმარობ, გავსწორდებ და ამას არცა ვცრობ. ერთი მიბრძანეთ, ჩემო რა ბრალია, რომ მუდამ უბედურება შემთხვევა და უფროსებს სწყინთ, როცა პირში სიმართლეს ვეუბნები. ალბად ასეთი ბედი მიწერია!

ჩვენს ქალაქში ცირკს შოელიან. მასთან სამხეცესაც მოიტანენ. მხეცები ფიქრიდან არ შშორდება. კვირაობით სკოლაში დავდივარ (მას შემდეგ, რაც პიტკინსის პანსიონიდან გამომაგდეს). ერთხელ დაფასთან გამიყვანეს და გაყოფის ამოცანა გამაკეთებინეს. მეც დავიწყებ დაფაზე ცარკით ხაზების გაყვანა. ამ დროს უკანიდან მოსწავლეების სიცილი მომესმა.

— ეორე ხაკეტ, მე შენ კულ ნიშანს დავისვამ ყოფაცქვეაში!— მითხრა წყრომის ხმით მასწავლებელმა.

მიზეზს ჯერ ვერ მივხვდი, მაგრამ, როცა დაფას შევხედე, დავინახე... როგორ ფიქრობთ, ციფრების მაგიერ რა დამეხატა?— ვეგებრთელი სპილო აშვერალი ხორთუმით. ალბად მე მაშინ არითმეტიკაზე კი არა, ბუნების მეტყველებაზედ ვფიქრობდი.

მამამ მითხრა, — თუ პარასკევამდის კარგ ნიშანს არ მიიღებ, არც ცირკში გაგიშვებ, არც სამხეცეში და არც პონის გიყიდის. როცა დედამაა შინ არ იყო, — ლილისთან წავიდნენ, — ორმოცი დოღლარის (ჩემი ცხენის ფასი) საღირაალი ავეჯი დავამტვრიე. სრულ ქეშმარიტებას მოგახსენებთ! ბურთით უცაბედად დედაჩემის ძვირფასი დიდი სარკე გავტეხე; დედაჩემის ოთახში ბუხარი მთლად გადაფუქე; მაშხალხს

გაკეთება მინდოდა, ბუხარში თოფის წამალი შევედე და კონალამ გადავწვი მთელი სახლი. ჩემი მიზეზით მეზობლებმაც ბევრი გადაახდევინეს მამაჩემს. ერთ მედუქნეს მთელი კათხა ბადაგი დაუღვარე: მინდოდა გამეხინჯა, რამდენად ტკბილი იყო და... გამოვბურღე. არა, მაინც საწყალ ჟორჯიკს მეტის მეტად სასტიკად ეპყრობიან! მე ხომ დღე და ღამ საყვარელი ცხენი მაბოდებდა. განა უმისოდაც ცოტაა მსჯიან? რამდენჯერ დაუტოვებიათ სადილს შემდეგ უხილოდ, რამდენჯერ შეღამებამდისვე დასაძინებლად გაუგდიათ. ეს საშინელებაა! მთელი ქალაქი ჩემს წინააღმდეგაა. მე იმათთვის საანდაზოდ გადავიქეც. როგორც ამბობენ, ქალაქის საბჭო ჩემს გამო მამაჩემს დაჯარიმებას უპირებს. როგორც ვიცი, ძალღზე ერთ დოლლარს იხდიან, ჩემზე კი თვეში თითქო ათას დოლლარს მოითხოვენო. ღმერთო! ეს ხომ მაშიჩემის სრული დაღუპვა იქნება! წელიწადში 12 ათასი დოლლარი მისი პატარა ვაჟის ცელქობის გამო!..

ქალაქ გარედ უნდა გავიდე სამხეცეს როგორმე შემოსვლის საცქერლად. საწყალი ჯონნი ჯერ კიდევ ლოგინშია; ფეხებზე არტაშნები აკრავს; მებრალგება, რომ ცირკს ვერა ნახავს. გუშინ საღამოს ამ სიამოვნებისათვის მამამ 50 ცენტი მოჰცა; მაგრამ აღარა მაქვს, საკანდიტეროში შევედო და სამი კერძი მყინვარი მოვიტხოვე: ფორთოხლის, ვანილის და ლიმონისა, — მინდოდა გამეგო, რომელი უფრო გემრიელია, და ფული მთლად შემომეფლანგა. დედამ მიბრძანა, ამას შემდეგ მყინვარი არა სჭამოო. ბევრი ვიფიქრე, ბევრი თავი ვიმტვრიე, თუ საიდან მეშოვნა ფული. ბოლოს მოვიფიქრე: ჩვენი მეზალე სემი ავად გახდა და მამას ვთხოვე, ნება მოეცა შემარგლა ჩვენი ბალი ყოველ დღე ორ-ორ საათს და ჯილდოდ დღეში 50 ცენტი ვთხოვე. მამა დამთანხმდა. დღეს კოკისპირული წვიმა იყო. დავბრუნდი თუ არა სკოლიდან, საღამომდის ზანგივით ვმუშაობდი. უჰ, რა ნაირად დავიღალე! წელი მთლად მომემტვრა. საღამოზედ მამა გამოვიდა ჩემი ნამუშავარის და-

სახედავად, რომ იკოდე, ჩემო საყვარელო, დღეს უბედურად გავრჯილვიყავ. სუყველა ძვირფასი ყვავილების ძირები ამომეგლიჯა, უბრალო ბალახები კი დამეტოვებინა. შამა-ჩემი კი იმ დილას მთელ სააჯს შეჩიჩინა, რა უნდა ამომეთხარა და რა დამეტოვებინა. ეჰ, ეტყობა მე ვერასოდეს ვერ ველირსები 50 ცენტის შოვნას და ცირკის ნახვას!..

ი. ნიკოლაიშვილი

(შემდეგი იქნება)





ლევ ტოლსტოი

(ოთხმოცი წლის შესრულების დღეს)




ვენ დროში მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება იმისთანა კაცი, რომელმაც წერა-კითხვა იცოდეს და დიდებულ მწერლის და ფილოსოფოსის ლევ ტოლსტოის სახელი არ გაეგონოს, არ წაეკითხოს რომელიმე იმისი დანაწერი. ყველა ხალხის ენაზეა გადათარგმნილი იმის ნაწერები და ყველა დიდის ინტერესით კითხულობს, რადგანაც მხოლოდ ლევ ტოლსტოიმ იცის ისეთ ნაიარად წერა, რომ უნებურად ხიბლავს ადამიანს და აყვარებს იმას, რაც თითონ უყვარს, რაც მას ასულდგმულებს.

ლევ ტოლსტოი ახლა (28 აგვისტოს 1908 წ.) ოთხმოცი წლის მოხუცია, მაგრამ ისეთი ცოცხალი, ენერჯით სავსე, მზიარული და მარდი, რომ ბევრი ახალგაზდაც კი ვერ შეედრება. შუა ტანისაა, გამზდარი, ბეჭებში უკვე მოხრილი, თეთრ-წვერა. პირველ შეხედვაზე უშნო ცხვირ განიერ რუსის გლვხად გეჩვენება, მაგრამ შემოგზებდავს თუ არა თავს წვრილი, ლურჯი, მოელვარე, კეკიანი თვალებით, სრულიად გავიწყდება, რომ ის უშნო მოხუცია, გგონია, რომ შენ წინ შენი საუკეთესო გულითადი მეგობარი, შენი ტოლი და ამხანაგი დგას, რომელსაც გინდა გაუხსნა გული და ყველაფერი, ყველაფერი რაც არასოდეს არავისთვის მიგინდვია, იმას უამბო. შენც იმისავეთ მზიარული ხდები, იცინი,



როგორც ის იცინის გულლიად, გინდა იმასავით ^{მეცნიერული} _{მეცნიერული} იოხუნჯო.



ლევ ტოლსტოი

ტოლსტოი მუდამ იმის ფიქრშია, თუ როგორ მოეწყოს ცხოვრება, ისე, რომ ყველანი ბედნიერები იყვნენ, რომ არ იყოს ქვეყნიერებაზე ისეთი უსამართლობა, რომ ერთმა არ

იკოდეს რა უყოს თავის აუარებელ სიზღიდრეს და ამავე დროს მეორეს სიმშლით და სიცივით სული არ ზღებოდეს.

მთელი თავისი ხანგრძლივი, ძლიერი მწერლობა და მისწრაფება ტოლსტოიმ ამ უსამართლობის წინააღმდეგ მიმართა. „ნუ უზამ სხვას იმას რაც არ გინდა, რომ შენ გიყონ; შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი; ბოროტებას ნუ წინააღმდეგები ბოროტებით და ძალადობით“. აი ქრისტეს უმთავრესი მცნებები, რომელიც ტოლსტოიმ ყველა თავის თხზულებებში, გაატარა, ჩასწვდა მკითხველის გულს და კეთილის გრძნობით ააძგერა.

ტოლსტოის უყვარს ადამიანი, უყვარს სიციცხლე და უნდა რომ ადამიანი თავის ამ ქვეყნიურ, მოკლე სიციცხლის დროს, სავსებით დასტკბეს, სავსებით იყოს ბედნიერი; და როდის იქნება ადამიანი ბედნიერი? მაშინ როცა ის, როგორც საუკეთესო, გონიერი ბუნების შვილი, იცხოვრებს ისე როგორც შეჭფერის ბუნების საუკეთესო შვილს, როცა ის ზომიერად მოიქცევა თავის ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

ტოლსტოი ამბობს, თუ დამნაშავეა მდიდარი, დამნაშავეა ღარიბიცო. ღარიბს ეშინია და იმიტომ ეპოზიჩილება და ეშინია იმიტომ, რომ მდიდარმა დაიქირავეა ღარიბის ძმა, მეორე ღარიბი და უბრძანა, — თუ შენმა ძმამ, პირველმა ღარიბმა, კრინტი დასძრა ჩემს წინააღმდეგ, დაიქირე და დაატუსაღეო. გან ხეავება ღარიბსა და მდიდარს შორის ის არისო, — ამბობს ტოლსტოი, რომ მდიდარმა იცის, რასაც შერება და შეგნებულად სწავრავს ღარიბს, დაწავრული ღარიბი კი უმეცარია. მიეციოთ მას შეძლება შეითვისოს უცვლელად ქრისტეს მცნება და ის მიხვდება — რაშა ძალა და თავისუფალი და ბედნიერი შეიქნებაო.

ლევ ტოლსტოი, როგორც ზევითა ვსთქვით, ახლა მობუტია: დაიბადა 1828 წ. 28 აგვისტოს. წლისა და ნახევრის იყო, როცა დედა მოუკვდა, მამა კი ცხრა წლისამ დაჰკარგა.

ტოლსტოის დედა თავად ვოლკონსკის ქალი იყო, რომელიც მოსიყვარულე, მგრძნობიარე, ნაზი და პატიოსანი დედა კაცი. ტოლსტოის ჰყავდა სამი ძმა და ერთი და, ახლა მხოლოდ და-და არის ცოცხალი.

ტოლსტოი, რომ დაიბადა, ერთმა ნათესავმა ქალმა წაიყვანა ყაზანში, ნამდვილი დედობა გაუწია და გაზარდა. ბავშვობაში ტოლსტოი წყნარი, გონიერი, მოსიყვარულე, მაგრამ გულფიცი და უცნაური ბავშვი იყო თავისი ბავშვობის დახასიათება ტოლსტოის აწერილი აქვს მოთხრობაში: „ჩემი ბავშვობის ისტორია“ პაწია ნიკოლინკა ირტენიევი, ამ მოთხრობის გმირი ნამდვილი სურათია ჩემი ძმისაო, მითხრა ერთხელ იმისმა დამ მარიამმა, რომელიც ახლა მოლოზნად არის შემდგარი.

ტოლსტოი სახლში მოამზადეს და ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზდა იყო, როცა ყაზანის უნივერსიტეტში შევიდა; უნივერსიტეტში ტოლსტოის გაიტაცებდა ხოლმე ერთი რამ საგანი და ამ საგანს ეძლეოდა სულით და გულით, სხვას კი არ აქცევდა ყურადღებას. პროფესორები უკმაყოფილონი იყვნენ და ცუდ ნიშნებს უსვამდნენ.

ტოლსტოიმ ორი ფაკულტეტი გამოიკვალია: ჯერ აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე იყო, შემდეგ იურიდიულზე; ბოლოს ისიც მიატოვა და წავიდა თავის საგვარეულო მამულსოფ. „იასნაია პოლიანაში“ საცხოვრებლად, სადაც განზრახული ჰქონდა დახმარებოდა გლეხებს და ეცხოვრა მათთან და იმათთვის. მაშინ ტოლსტოი ოცი წლისა იყო.

სოფელში ცხოვრებამ ის ვერ დააკმაყოფილა. გლეხები მას უტკებოდნენ, როგორც მებატონეს და ეს ბატონ-ყმური, არა-ბუნებრივი ურთიერთობა სტანჯავდა და აწუხებდა ტოლსტოის და მანაც მიატოვა სოფელი. იმ დროინდელ ცხოვრების გავლენით შემდეგში მან დასწერა მშვენიერი მოთხრობა „მებატონის დილა“, სადაც აწერილია ბატონის და ყმის

უკეთიერების სიყალბე, მიუხედავად იმისა, რომ ბატონს სტუ-
ლით და გულთ უნდა სამსახური ვაუწიოს გლენებს.

ტოლსტოიმ არ იცოდა სოფლის მიტოვების შემდეგ რა
საქმისთვის მოეკიდა ხელი. ერთი იმისი ძმა ჩრდილო კავკა-
სიაში სამხედრო სამსახურში იყო და ტოლსტოიც იმასთან
წავიდა თერგის ოლქში. ერთხანს ძმასთან სტუმრად იყო,
შემდეგ ჩამოვიდა ტფილისში, და იუნკრად შევიდა იმ არ-
ტილერგიის პოლკში, სადაც იმისი ძმა მსახურებდა. ბევრ-
ჯელ მიუღია მონაწილეობა ტოლსტოის ჩაჩნების წინააღმდეგ
ბრძოლაში. ამ ცხოვრებამ და საზოგადოდ კავკასიაში ყოფნამ
დიდი გავლენა იქონია მასზე. მრავალი მშვენიერი მოთხრო-
ბა ჰქვს ტოლსტოის დაწერილი იმ დროინდელ ცხოვრების
გავლენით. ამ ბოლო დროს კი მან დასწერა დიდი რომანი
„ჰაჯი მურად“, რომელიც ავტორის სურვილისამებრ მხოლოდ
იმისი სიკვდილის შემდეგ უნდა დაიბეჭდოს. ვინც წაიკითხა
ხელნაწერი ამბობს, რომ ცრემლებს ვერ შეიმავრებ, ისეთი
სიყვარულით და თანაგრძნობით არის აწერილი შამილის აფი-
ცერი მშვენიერი ვაჟაკი ჰაჯი მურადის სულიერი მდგომარე-
ობაო. კავკასიაშივე დასწერა მან თავის პირველი, მშვე-
ნიერი დიდი მოთხრობა: „ჩემი ბავშვობის ისტორია“, რომე-
ლიც დაიბეჭდა 1852 წ.

შემდეგ ტოლსტოი გადავიდა მეორე პოლკში, აფიცრობა
შიილო და სევასტოპოლის ომის დროს იქ იყო. ამ ომის
დროს ტოლსტოი მედგრად და გულადად იბრძოდა, და სწო-
რედ თავისთავზე გამოსცადა და ნათლად დაინახა ომის საში-
ნელი შედეგი, რომელმაც მთელ იმის სიკოცხლეს დააჩნია
კვალი.

ლევ ტოლსტოის მოსიყვარულე გული ვერ შეეთვისა
სამხედრო სამსახურის მკაცრ წესებს და სევასტოპოლის ომის
შემდეგ იმან დაანება თავი სამხედრო სამსახურს ტ მთელი თავისი
ნიკი მწერლობას და საზოგადო მოღვაწეობას მოახმარა.

კოტახანს პეტერბურგში ცხოვრობდა, გაიცნო იმ დროი-
ნდელი რუსეთის საუკეთესო მწერლები—ტურგენიევი, ნეკრა-

სოფი, გრიგოროვიჩი და სხვები, რომლებიც იმის დიდ ნიქს დიდი სიხარულით და სიყვარულით მიეგებნენ. მაგრამ პეტერ-ბურგში ბუნებასთან მოწყვეტილმა ქალაქურმა ცხოვრებამ ვერ დააკმაყოფილა და ისევ თავის სოფელ „იასნაია პოლიანა“-ში წავიდა საცხოვრებლად.

ტოლსტოი დიდ მნიშვნელობას აძლევს ბავშვების აღზრდას. მას სწამს, რომ ბავშვს შეუძლია შეითვისოს, სავსებით შეიგნოს და შემდეგ განახორციელოს ცხოვრებაში ნამდვილი სამართლიანობა. ამიტომ იყო, რომ ტოლსტოიმ გახსნა სკოლა იასნაია პოლიანაში გლეხის ბავშვებისათვის და თითონ ასწავლიდა, მაგრამ ისე-კი არა, როგორც ყველგან სკოლებში იყო მიღებული სწავლება. მოსწავლეები დიდი სიხარულით მიზოდნენ ამ სკოლაში, სადაც იმათ მკაცრი მასწავლებელი-კი არ ელოდა, არამედ დიდი, მხიარული ამხანაგი, რომელმაც ყველაფერი იცოდა და დიდი სიამოვნებით მოუთხოვდა ათასნაირ რამეებს, სეირნობდა, კითხულობდა და სწერდა იმათთან ერთად სხვა და სხვა ამბებს და მოთხოვნებს. ამავე დროს ბავშვები ისხდნენ, იღვნენ იწვნენ, ვის სად და როგორც უნდოდა და ეხერხებოდა. მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ვის როდის და რა დროსაც უნდოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა ძალიან ძვირად მომხდარა რომ რომელიმე ბავშვს სწავლის დროს გაკვეთილი მიეტოვებინოს და წასულიყო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არაფითარი სასჯელი არ არსებობდა, არავინ საყვედურსა და შენიშვნას არ აძლევდა და მასწავლებელსა, და მოწაფეებს შორის სრული თანასწორობა სუფევდა, არ მომხდარა, რომ ბავშვებს გაკვეთილის დროს ხმაურობით ხელი შეეშალოთ მასწავლებლისათვის და ყური არ დაეგდოთ, თუ რომელიმე ცელქ ბავშვს წასკდებოდა რამე, სხვა ბავშვები თითონვე უცხადებდნენ უკმაყოფილებას და აჩუმებდნენ უკვე შერცხვენილ ცელქს. პირ იქით ბავშვები ყველაფერს ადვილად ითვისებდნენ და გულ მოდგინეთ სწავლობდნენ, თუ რა ნაირი უბრალო და ამხანაგური

განწყობილება ჰქონდა ბავშვებთან ტოლსტოის, შემდეგ ნა-
გალითიდანაც სჩანს.

ერთხელ როცა ფედკამ და სემკამ ტოლსტოისთან ერთად მოთხრობის წერა გაათავეს ფედკამ ჰკითხა:

„დავბეჭდავთ ამ მოთხრობას?“

„დავბეჭდავთ,“ — მიუგო ტოლსტოიმ.

„მაშ ბოლოში ასე უნდა მოვაწეროთ: თბზულება მკარავის, მოროზოვის, და ტოლსტოისა.“

ტოლსტოი მაშინვე დაეთანხმა.

ტოლსტოი აღტაცებული იყო ბავშვების გულ კეთილობითა და სამართლიანობით. ის ამბობს, რომ თითონ მე ბევრი შევისწავლე ბავშვებისაგან, მართლაც ამ სკოლაში მეცადინეობამ ტოლსტოის უფრო მეტად განუმტკიცა ის აზრი ბავშვების აღზრდის შესახებ, რომ მხოლოდ თავისუფალ სკოლას შეუძლია აღზარდოს თავისუფალი, გამბედავი, პატიოსანი ადამიანი. მან დაარსა გაზეთი „ისნაია პოლიანა,“ და ეს შეზღუდულება პირველმა გამოსთქვა რუსეთში. ის პირველი გამოვიდა ბავშვების ქომაგად და მეგობრად. ახლა ამ ნაირ თავისუფალ სკოლის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და აღარავის არ ეუცხოება ეს აზრები, მაშინ კი ბევრ მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ისინი ამბობდნენ, თუ სკოლაში შიში და დისციპლინა არ იგრძნო ბავშვმა, ისეთი დაუდგრომელი ბუნება აქვს, რომ იმის თავში არაფერი შევა და უმეტარი დარჩებაო, მაგრამ ტოლსტოი მაინც უშიშრად და მედგრად იცავდა თავის რწმენას, რომ შიში და სიმკაცრე სწავრავს, და მხოლოდ სიყვარული და თავისუფალი მოპყრობა აამაღლებს როგორც დიდების ისე ბავშვების ღირსებასაო. ტოლსტოი ამავე დროს სწერდა ბევრ საყმაწვილო მოთხრობებს და სულით და გულით ზრუნავდა ბავშვების კეთილ განვითარებისათვის.

ჩვენმა ქართველ ბავშვების მეგობარმა იაკობ გოგებაშვილმა „დედა-ენაში“ გააცნო ტოლსტოის ნაწერები ბავშვებს. ტოლსტოის ეკუთვნის ისეთი მშვენიერი მოთხრობები, როგორც



არის „ნუცას სკოლა, ქურდი, მენავეები, ცრუ და სხვა რომელიც ყველას სამუდამოდ ჩაებეჭდება გონებაში.

ყველა თავის თხზულებებში, სადაც ბავშვები ჰყავს გამოყვანილი, ტოლსტოი დიდის სიყვარულით. თანაგრძნობით იხსენიებს ბავშვებს. ახლა ის ღრმა მოხუცებული სწერს და აღგენს ბავშვებისათვის წიგნს, რომელიც ჩქარა დაიბეჭდება.

ამ ნაწერებს ის უკითხავს სოფლის ბავშვებს, რომლებიც იყრიან მასთან თავს, და იმათ ვაგებისა და შენიშენის კვალად ასწორებს.

ბატონ ყმობის დროს ტოლსტოი ბატონყმობის მოსპობის მომხრე იყო და ბევრი იშრომა ამისთვის თუმცა ბატონყმობის მოსპობამ ვერ დააკმაყოფილა ის

1862 წ. ტოლსტოიმ შეირთო ცალი, ბერსის ქალი სოფიო, და სამუდამოდ დამკვიდრდა იასნაია პოლიანაში. ის შეუდგა მეურნეობა-მეოჯახობას და როგორც ამბობენ საუცხოვო უნარიც გამოიჩინა. ამავე დროს ის სწერდა ბევრს. დასწერა დიდი რომანები: „ომი და მშვიდობიანობა,“ „ანა კარენინისა“ და მრავალი მოთხრობები. იმის სახელი როგორც დიდებული მწერლის გაითქვა ყველგან. ყველანი პატივს სცემდნენ, იმის ნაწარმოებებს, თარგმნიდნენ სხვა და სხვა ენებზე. ტოლსტოიმ შეისწავლა კონფუქციის, ბუდდის, მაჰმადისსარწმუნოება და შეჩერდა ქრისტეს სარწმუნოებაზე ამ მიზნით შეისწავლა მან ბერძნული და ძველი ებრაული ენები. გადიკითხა ამ ენებზე დაბადება და სახარება. თითონ გადმოთარგმნა და განმარტა სახარება ბერძნულიდან.

ამ დროიდან იმის ცხოვრება სრულიად შეიცვალა. ის თავის თხზულებებში აღარ იღებს ფასს, აღარ ზრუნავს ქონების შექმნისათვის. მართალია ფუფუნების დაჩვეული ოჯახი ვერ გადაქმნა და ბუდდისავეთ ვერ მიატოვა, მაგრამ თავისი პირადი ცხოვრება კი სრულიად გაამარტივა, და გამოსცვალა. მოსამსახურებს არ იმსახურებს, იცვამს სრულიად უბრალოდ,

რომ ხშირად გლახსა და იმას ვერ არჩევენ ერთმანერთში და ამის გამო ბევრს, ვინც პირველად ტანისამოსს აქცევს ყურადღებას, ტოლსტოი ვერ უცვნია და სასაცილო მდგომარეობაში ჩაეარდნო. ერთმა მორთულმა ქალმა, რომელიც მატარებელში ჯდებოდა სადგურზე და კალათი ჰქონდა შესატანი ვაგონში, მიიხედ-მოიხედა, ტოლსტოი დაინახა და უთხრა:

— ბერი-კაცო, ბერი-კაცო, ეს კალათი შემიტანე ვაგონშიო.

ტოლსტოიმ კალათი შეუტანა. ქალმამოიღო და ერთი მაური მისცა. როცა ირგვლივ მგზავრებმა უთხრეს ქალს, ეს ლევ ტოლსტოი იყო ძალიან შერცხვა ბოდიში მოიხადა და ფული უკან მოსთხოვა.

ერთხელ ტოლსტოი თეატრში არ შეუშვა მეკარემ. სწორედ იმ დროს, როცა ტოლსტოის პიესას ადგენდნენ და ლოცვაც ჰქონდა შენახული. ტოლსტოის თან შვილი ჰყავდა. მეკარე შემდეგი სიტყვებით შეხვდა: „აი გრაფისათვის არის ლოცვა და შენ ვილაცა ხარ, ბერი-კაცო, გირჩევ აქედან წახვიდე. მეკარემ მონურის ღრეკით მიიბატიეა კარგად ჩაცმული ტოლსტოის შვილი და თუმცა მამაცა და შვილიც უხსნიდნენ თავიანთ ვინაობას, მაინც არ დაიჯერა, სანამ თეატრის დირექტორი არ მოვიდა და არ დაარწმუნა რომ პიესის ავტორი გრაფი ტოლსტოი სწორედ ეს ღარიბულად ჩაცმული მოხუცი იყო.“

იმავე დროს ტოლსტოიმ ხორცის ჰამა აჰკვეთა და ვეგეტერიანი გახდა. ვეგეტერიანობის შესახებ იმას აქვს დაწერილი მშვენიერი სტატია „პირველი საფეხური,“ რომელშიაც ცოცხლად და მძლავრად არის გამოხატული, თუ როგორ სწყურია და უყვარს სიცოცხლე ყოველ ცოცხალ არსებას და რა ნაირის ტანჯვით ეთხოვება უსიტყვო ცხოველი ამ სიცოცხლეს.

ადამიანის ერთ უმთავრეს მოვალეობად ტოლსტოის მიანია ფიზიკური ჯანა. მას არ სწამს იმ ნაირი შრომის განა-



წილება, როგორც ახლა არის რომ ერთი წილებზე გაყვას და
გამდეს. დღე და ღამ მუშაობდეს, მთელი დღე ალაგებდეს,
ხარშავდეს, უსუფთაობას სწმენდდეს მეორისათვის და მეორე
კი ამ დროს სრულიად უსაქმოდ ატარებდეს დროს, და ან
მხოლოდ მეცნიერებას მისდევდეს. ეს ცალმხრივობა გამბრძნის
და ამ ნაირი ადამიანი არასოდეს არ იქნება სალი და მართ-
ლა სასარგებლო კაცი. ადამიანის ყოველმხრივი სისაღისათვის
საჭიროა შრომა მრავალ ფეროვანი.

ტოლსტოი ამბობს: ყოველი დღე ისე საღად და სასარ-
გებლოდ უნდა გავატარო, რომ საღამოს, დაწოლის დროს,
როცა შენს თავს დაეკითხები, თუ როგორ გავატარე დღე,
მოუტანე, თუ არა რამ სარგებლობა ქვეყანას, წავეწიე თუ არა
კოტაც არის მაინც სიკეთის გზაზე, რომ შეგეძლოს თავის
თავს უპასუხო დიად გავაკეთეო.

ტოლსტოი ახლა, როგორც ვიცით, მოხუცია და ამას-
თან ავითმყოფიც მაგჩამ ერთობ შრომის მოყვარეა და ბევრ-
საც მუშაობს-უმთავრესად ის ახლა სწერს და კითხულობს
დილით ძალიან ადრე დგება და რაც უნდა ავი დარი იყოს.
მიდის სასეირნოდ, კოტა ხანს სეირნობს, შემდეგ ბრუნდება,
საუზმობს და იწყობს წერას სწერს, და მეცადინობს ოთხ სა-
ათამდის და არასდროს გულისათვის არ შესწყვეტს ამ მუშა-
ობას. შემდეგ სადილობამდის ისევე სეირნობს; სადილად სკამს
რამე მსუბუქს სამარხოს უფრო კი მოხარშულ გაწურულ ქე-
რის წვეწვს, რომელიც ძალიან ნოყიერი და მსუბუქი საქმე-
ლია. ნასადილევის ერთ საათს ისვენებს და შემდეგ კი კითხუ-
ლობს აუარებელ წერილებს, რომელიც დედა-მიწის ყოველი
კუთხიდან მოსდის და იღებს სტუმრებს, რომლებიც აგრეთვე
დედა-მიწის ყოველი კუთხიდან მოსდის.—საფრანგეთიდან, ამე-
რიკიდან, ინგლისიდან, ინდოეთიდან, კუნძულ იავეიდანაც კი
მოვიდა მასთან ამ კუნძულის გუბერნატორი, რომელსაც ტოლ-
სტოის წიგნი „ცხოვრების შესახებ“ წაეკითხა და ისე ემოქმე-
დნა, რომ გუბერნატორობაზე ხელი აეღო, ის—მოვიდა ტოლ-



სტოის სანახავად, რომ უფრო დაწვრილებით და სავსებით გავ-
გო იმის მოძღვრება, შემდეგ ისევ დაბრუნდა თავის კუნ-
ძულზე რომ იქაც თავის ქვეყანაში გაავრცელოს ტოლსტოის
აზრები.

ვინ, ვინ არ მოდის მასთან. ჩვენ თითონ გვინახავს მის
დარბაზში ერთად თავმოყრილი. ხალათიანი მუშები, პროფე-
სორები, იმისი ცოლის მეგობრები მორთულ-მოპრანქული
კნინები და გრაფინები და თითონ ტოლსტოის მეგობრები,
უბრალოდ სადად ჩაცმული, დინჯი ხალხი, მაგრამ, როგორც
ზევითაც ვსთქვი, ტოლსტოიმ იცის ადამიანის საუკეთესო თვი-
სებების გამოწვევა და ყველა ეს სხვა და სხვა ხალხი საერთო
ინტერესებით აღფრთოვანებულნი დიდი სიამოვნებით მუსა-
იფობდნენ და ბქობდნენ ერთად.

ტოლსტოი არავის არ სტოვებს უყურადღებოდ, მაგრამ
ძალიან სძულს როცა ფუქსავატი ვინმე შარტო ცნობის მოყვა-
რეობით მიდის მასთან და ამისთანა ხალხი კი ბევრი მისდის.
მხოლოდ თქვენი შეხედვა გვინდოდაო ეუბნებიან ისინი და
მიდიან უკან. ახლა რამდენი მხატვრები მოდიან, რამდენი
სხვა და სხვა ნაირი მოთხოვნილებით; უფრო მეტია წერილები,
რომლებშიაც გამოთქმულია ადამიანის სული და გული,
ტანჯვა, მისწრაფება; დამწერი სთხოვს, შენი მძლავრი გონე-
ბის შუქი მოჰფინე ჩემს დაღალულ სულსაო. სთხოვს რჩევას
და სხვ. რამდენჯერ მოსვლია წერილი გრძელ თხოვნით, მხო-
ლოთ ერთი სიტყვა დასწერე და გამომიგზავნე ვნახავ როგორ
სწერ ამისთანა დიდებული მწერალიო. იგი ყველა სერიოზულ
წერილზე დიდი სიამოვნებით აძლევს პასუხს.

ამ უკანასკნელ დროს ტოლსტოი უფრო ხშირად ავად-
მყოფობს, მაგრამ ავამთყოფობაშიაც, თუ ისე დაუსტებელი
არაა, რომ ლაპარაკი შეუძლია, ის უკარნახებს თავის აზრებს
და სხვები სწერენ; ამბობს ახლა ჩქარა უნდა მოვკვდე და კიდევ
ბევრი რამ მაქვს სათქმელიო. ტოლსტოი სიკვდილს მოელის



ზოტანიკური საუბარი



მ საშუალებით რცხილა იმდენად კარგად ებრძვის საქონელს, რომ მას ეფარება საქონლისაგან თავის გადასარჩენად ისეთი ჯაგაც კი, რომელსაც ეკლები აქვს. მაგალითად საგარეჯოს გვერდებში კუნელი და ძეძვი ყველგან საცა კი მარტო დგას მოქმულია თხებისაგან და თითქმის ილუპება მაგრამ საცა კი მათ გარშემო რცხილა ახვევია თხა ვერას აკლებს.

ვინც კი ყოფილა ფიჭვის და ნაძვის ტყეებში, ეკოდიწებათ, რომ ამ ხეებს იარიდან გამოსდით ფისი, რომელიც იარას ჭფარავს. ამ ფისს დიდი მნიშვნელობა აქვს: ის იჭერს შწერს და სოკოებს, რომელნიც ხეს ღრღნიან და ალბობენ. შწერი და სოკოს ბუსუსი ფისში ეფლობიან და ილუპებიან. „უთხოვარს“ არა აქვს ფისი; სამაგიეროდ მისი ფოთოლი, ნეკერი და კანი შხამიანია. ამ შხამით ეს ხე იგერებს, თავის მტრებს.

არყის ხე თავის ქერქში შეიცავს თეთრ მტვერს (ბეტულინს), რომელიც აძლევს მას სითეთრეს. არყის ხე ამ მტვერით იგერებს შწერებს.

როგორც ვიცით, ხის ქერქი იფარავს ხეს სხვა და სხვა მტრისაგან, მაგალითად სოკოსაგან, რომელიც ალბობს ხეს; შწერისაგან — ეს ღრღნის და ფქვავს ხის გულს — მერქანს და

მით იკვებება; ნადირისაგან, რომელიც აძრობს და სკამს ნორჩ ლაფანს და სხვ. მაგრამ ქერქი სხვა ნაირადაც არის საჭირო ხისათვის. იგი იფარავს ხეს სიცივისა, სიციხისა და გაშრობისაგან. ხისათვის ქერქი იგივეა, რაც ცხოველებისთვის ბალნით შემოსილი ტყავი და ადამიანისთვის კანი და ტანისამოსი. ხის ქერქი თავის დანიშნულებას სამაგალითოდ ასრულებს, მეტადრე მაშინ, როცა იგი შეიცავს ჰრობკას. ჰრობკა მშვენიერად იქერს სიციხე-სიცივეს და სრულიად ასუსტებს შტოდან წყლის დაკარგვას. რადგანაც ჰრობკა სრულიად არ უშვებს წყალს და ჰაერს, ამიტომ ვხმარობთ ჰრობკას ბოთლის დასაცობად.

მაგრამ უმთავრესი დანიშნულება კანისა მაინც სხვა არის, როგორც უკვე ზემოდაცა ვთქვით, ფოთოლში მზადდება ის მასალა, რომელიც ჰკვებავს თვით მცენარეს და ყველა სულ დგმულს. ფოთლიდან ეს მასალა ხის კანის საშუალებით ეშვება ქვევით, ზღის ნაყოფს და ასაზრდოვებს თვით ხეს და ფესვებს. გარდა ამისა ამ მასალას აგროვებს შტოში და ტოტებში, რადგან გაზაფხულზე გაშალოს კოკორი. გამოიტანოს ფოთოლი და ააყვავოს ხე. ხეში რომ ქერქით ორგანიული მასალა მართლა ძირს ეშვება, ეს დაამტკიცა მე-17 საუკუნეში მალპიგიმ: ხეს გარშემო ქერქი შემოაცალა (იხ. სურათი № 21); ის ნაწილი **ბ**) რომელიც შემოცლილ კანს ქვევით მოჰყავა, აღარ გაიზარდა, რადგანაც საზრდოს ფოთლებიდან ვეღარ იღებდა; კან აცლილ ადგილის ზევითა ნაწილი **ა**) კი უფრო გასქელდა. ამ ალაგას მოგროვდა საზრდო მასალა, რომელმაც უფრო გაათამამა და გაზარდა ზევითა ნაწილი.



სურათი № 21.

ფოთოლი

ხეები ზაფხულსა და შემოდგომაზე ფოთლის ყუნწის ძირში და ტოტის ბოლოზე იკეთებენ კოკორს. ეს ნაზამთრევი კოკორი გაზაფხულზედ იზრდება, იზორებს ფერფლს და გამოაქვს ფოთოლი. ხის კოკორი შუაზედ რომ გადაეკრათ, დაინახამთ ჩასახულ მწვანე ფოთლებს. მათ აკრავთ მთელი წყობა ფერფლისა. ეს ფერფლი შიგნიდგან მომწვანოა, გარედგან კი თან და თან მუქ წითელ ფერს იღებს. ფერფლი სახელნაცვალი ფოთოლია. ფერფლი იცავს კოკორს საქონლისა და ზამთრის სუსხისგან: კოკორი სიცივის ასატანად იმოსება ბუსუსით, აედრის ასაცდენად იცვილება (ისანთლება), საქონლის მოსაზორებლად კი სხვა და სხვა საშუალებას ხმარობს: გამხმარია, რომ საქონლის თვალი არ მიიტაცოს, ზოგჯერ ხის ქერქის ქვეშ იმალება, ასე რომ ზამთარში სრულიად არა ჩანს. აკაციას, მაგალითად, არ უჩანს კოკორი, რომლის მაგივრად გამოშვერილია ორი დიდი ეკალი. წიფლის კოკორი წვეტიანია და ამიტომ ცხოველი ერიდება. ზოგიერთ ხის კოკორს ისეთი მწარე გემო აქვს, რომ საქონელი სიმშლის რჩეობს და პირს კი არ აკარებს; მაგალითად, მურყანს.

კოკორი რომ იშლება, გამხმარი ფერფლი ხშირად კიდევ კარგა ხანი რჩება მახედ. ეს ფერფლი პატარა ქოლგასავით მზეს უჩრდილებს ნორჩ ფოთოლს. ასე ეშლება კოკორი მუხას, წიფელს და მრავალ სხვას. თვით ნორჩ ფოთოლს სიცივის წინააღმდეგ ბუსუსი ასხამს ხოლმე. შემდეგში, როცა ფოთოლი კარგა გაიშლება, ბუსუსი მეტ წილად სცივია.

აი კოკორი გადიშალა, ხემ გამოიტანა მწვანე ფოთოლი. მზის სხივი ძალიან საკიროა ფოთლისათვის, რადგანაც მის საშუალებით ამზადებს იგი ორგანიულ მასალას მკვდარ, არა ორგანიულ ნაწილებიდგან, — როგორც არიან წყალი, სხვა და სხვა მარტილები და ნახშირ-მეავე. რადგანაც ფოთოლს ასე

სკირია მზის სხივი, ხე სკდილობს ისე გააწყოს ფოთლოვანი, რომ ერთსა და იმავე დროს მეტი მზის შუქი ჰხედებოდეს. ფოთლის ამ გვარი გაწყობა ძალიან ძნელია, თუ ვიქონიებით მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხეს უთვალავი ფოთოლი ასხია. ერთ მუხას დაუთვალეს ფოთოლი და აღმოჩნდა, რომ 700,000-მდე ება. ეს უთვალავი ფოთოლი მიწაზედ რომ გაშლილიყო, სამ დღიურ ალავს დაიქერდა. ამოდენს ფოთლის რიგზედ გასაწყობად ხე ხმარობს სხვა და სხვა საშუალებას. დავასახელებთ მხოლოდ შემდეგს: როგორც ტოტები, ისე ფოთლები ხეს ეწყობა აუცილებლივ გეომეტრიულ წესით. თვით ფოთოლი იმ ნაირად აბია, რომ მზე ზევით პირზედ ეცემოდეს. რადგანაც მზე ადგილს იცვლის, ამიტომ ფოთოლიც იქითკენვე იხრება კუნწის საშუალებით.

გარდა ამისა ფოთლის კუნწი ხან გრძელია, ხან მოკლე იმის და გვარად, თუ როგორ უჯობს ფოთოლს. სურათი № 23 ნათლად გვიჩვენებს, როგორ ეწყობა ფოთოლი, რადა რაც შეიძლება სავსებით ისარგებლოს მზის სხივებით. ოცდა მესამე: სურათიდგან ჩანს, რომ სადაც ერთ ფოთოლს



სურათი № 23 ფოთლოს ფოთლები

გამოკრილი ალავი აქვს, ეს გამოკრილი ალავი დაქერილია მეორე ფოთლის წვეტიანი მხრით.

ასე გაწყობილი ფოთოლი იქერს თითქმის ყველა მზის სხივს, რომელიც კი ხესა ხედება. ამითი აიხსნება, რომ ხეები იძლევიან ზაფხულში მშვენიერ ჩრდილს, რომელსაც აგრე დაეძებენ დაქანცული მუშა და მგზავრი.

ის შიფოთლილი ტოტი, რომელსაც არა ჰხედება მზის სინათლე, ხეება და ეკლება ხეს. ამითი აიხსნება რომ დაბურულ ტყეში, საცა ერთი ხე უჩრდილავს მეორეს, ქვევითა დაჩირდილული ტოტები ხეებს უხმებათ ამიტომაც ტყეში ხეები ზემოდ, ცისკენ იწვევენ, რომ მალე სინათლეზედ გაიტანონ თავისი კენწერო, რადა მეზობელ ხეებს არ დაეჩავკრიონ, აქ ხეები ერთმანეთს სამკედრო-სასიკოცხლოდ ებრძვიან მზის შუქისთვის და აუცილებელი სიკვდილი მოელის იმ ხეს, რომელსაც სხვა ხეები დასჩრდილავენ. როგორც ზემოდ იყო მოხსენებული, დაბურულ ტყეში ხეებს რჩებად მხოლოდ ზემო ტოტები, ამიტომ ამისთანა ტყეში ხე იზრდება უტოტო და ლერწამივით სწორე.

ხე ფესვებით ისრუტავს წყალს, რომელიც შტოისა და ტოტების საშუალღებით ფოთლამდის ადის. რადა ფოთოლში მეტი წყალი არ დახარჯოს, ვიდრე ნიადაგში იმყოფება და ამით არ გახმეს თვითონაც და მასთან ერთად ხესაც არ მოუკლოს სიკოცხლე. ფოთოლი იმ ნაირად არის აგებული, რომ წყლის ხარჯვა-დაზოგვა შეუძლიან გარემოებათა მიხედვით: თუ ნიადაგი გადამხმარია, მაშინ წყალსა ზოგავს და თუ ქარბადა აქვს, უხვად ხარჯავს, ფოთოლს ორივე მხრივ შედარებით სქელი კანი აქვს, რომელიც წყალს სრულიად არ უშვებს. გარდა ამისა, მისი ქვევითა მხარე დაჩერტილია უთვალავ და უხილავ წერტილებით. ეს წერტილები მიკროსკოპში წარმოადგენენ პატარა კარებს, ან უკეთ—ბაგებს, როცა ფოთოლში ბევრი წყალია, ეს პატარა ბაგენი იხსნება და წყალს ადვილად უთმობს ჰაერს. მაგრამ, თუ რაიმე მიზეზით წყალში იკლო, პატარა ბაგენი იხურებიან და ინახავენ წყალს ფოთოლში. ამ პატარა ბაგით ფოთოლი ჰაერით სუნთქავს და ნახშირმეავეს ჰაერიდგანვე ითვისებს მზის საშუალღებით,

წყლის დასაზოგავად ზოგი ერთი ჯიშის ხე სხვა საშუალღებასაც ხმარობს. მისი ფოთოლი ქვევითა მხარეს, საითაც ზემოდ აღნიშნული პატარა ბაგეები აქვს მოთავსებული, ბუ-



სუსით იმოსება. ეს ბუსუსი ძალზედ ამცირებს წყლის ხარჯვას და ჰაერის და ნახშირ-მჟავის სუნთქვა-შეთვისებას კი ხელს არ უშლის. ბუსუსი ფოთლის ქვევითა მხარს თეთრს ფერს აძლევს. ამიტომ ბუსუსიანი ფოთოლი შორიდგანვე იცნობა. მაგალითად, საკმარისია პატარა ნიავმა დაუბეროს ვერხვს, რომ მისი ფოთოლი კუნწში მოიხაროს და ნიავს მიუშვიროს ბუსუსიანი მხარე. ამ გვერდიდგან ვამამშრალებელი ნიავი ფოთოლს ველარას აკლებს შორიდგან საამური სანახავია ვერხვის ფოთლის შრიალი და თამაშობა, თითქო ხან იმალება, და ხან ვერცხლივით ბრწყინავს მზეზედაო.

ფოთოლი ხან და ხან სანთლით იღვსება იმავე მიზნით, რა მიზნითაც იგი იცვამს თეთრ ბეწვიან ტანისამოს, ეს სანთელი განგებ რომ მოვაცალოთ, ფოთოლი ორჯელ მეტ წყალს დახარჯავს, ვიდრე გასანთლული. ამისთანა ფოთლები აქვს ცაცხვს, წნორს და სხ.

ზოგ ხეებს წყლის ხარჯვის შესამოკლებლად ფოთოლი ისე დაპატარავებული აქვს, რომ ძლივა ჩანს. ესეთი პატარა ფოთოლი აქვს ტუიას, კვიპაროზს და ზოგიერთ ღვიას, ჩვენში ხშირად შევხვდებით ღედალ ღვიას, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ტოტზედ ორ ნაირ ფოთოლი აქვს. უფრო დაჩრდილულ ტოტზედ ეკლიან ფოთოლს იკეთებს, ისეთს, როგორც მამალ ღვიასა აქვს. იქ კი, საცა მზე ხშირად უყურებს, ღედალი ღვია იკეთებს ფოთოლს, რომელიც კვიპაროზის და ტუიას ფოთოლს ჰგავს, საქმე იმაშია, რომ ეკალა ფოთოლს გაცილებით მეტი ზედა პირი აქვს და მეტს წყალსაც ხარჯავს, ვიდრე კვიპაროზის მზგავსი ფოთოლი. ამიტომ ამ უკანასკნელ ფოთოლს მზის გულისკენ იკეთებს.

იმ ქვეყნებში, საცა ძალიან გამზმარი და უწყალო ნიავია, მშრალი და ცხელი ჰაერი, ზოგიერთი ხე სრულიად ჰკარგავს ფოთოლს. აქ ფოთლის მაგიერობას ეწევა მწვანე ტოტები. მაგალითად, კასპის ზღვის იქითა მხარეს, საცა ჰაერი და ნიავი ძალიან ხმელია, ხშირად შეხვდებით უფოთ-

ლო ხეს საქსაულს, რომელსაც სიცხე და გვილი ვერას აკლებს. ალაზნის და ივრის მინდვრებში ხშირად შეხედებით ასეთსავე უფოთლო ჯავს ილუნას.

ზოგიერთი ხე წყლის ხარჯვის შესამცირებლად ეძლევა ღამის ძილს. მაგალითად, ლენქორანში არის ერთნაირი აკაცია, — აბრეშუმის აკაციას ეძახიან, რადგანაც ყვავილზედ აბრეშუმით ბეწვს იკეთებს; ამ აკაციას ორმხრივი წვრილი ფოთოლი აქვს. ღამ-ღამე ეს წვრილი ფოთოლი ერთმანეთს უახლოვდებიან და ერთ მანეთს ჰფარავენ --- იკეპებიან. ესევე იქცევა ქრისტეს-გვირგვინა (გლედინიის) ფოთოლი (იხ. სურათი № 27). ორივე ჩვენს თბილისის ბაღებში ხშირად შეხედებით.



სურათი № 27. — გლედინიის ფოთოლი დღისით და ღამე დაძინებული.

ფოთოლი წყლის უმეტეს ნაწილს ჰკარგავს შუადღისას, როცა მზე მაღლა დგას და ძალიანაც აცხუნებს.

სოლ. ქურდიანი.





როგორ განჰქრა ამ ქვეყნად სამართალი

(ხალხური)



ეფე სოლომან დიდს, რომელიც განთქმული იყო ბრძნად და შესანიშნავ მოსამართლედ, როგორც გარდმოგვეცემენ, ერთი შესანიშნავი ოქროს ხელი ჰქონდა სახლში მოწყობილი, რომლის დანიშნულება იყო მომჩივნების მოსმენა და მათი გასამართლება.

როგორ იყო ეს ხელი ეგრე საუცხოოდ მოწყობილი და როგორ შეეძლო კაცის გულში ჩახედვა ამას არავინ გადმოგვეცემს. მხოლოდ იმას კი გვიამბობენ, რომ ეს ხელი ქერში იყო ჩამოკიდებული. მომჩივანი და მოპასუხე წარდგებოდნენ მის წინ, შესჩივლებდნენ ყველა თავის საჩივარს და სათქმელს. როცა საქმე გამოირკვევოდა, ოქროს ხელი ზვეიდგან დაეშვებოდა იმის თავზედ, ვინც მართალი იყო.

დიდხანს, ძრიელ დიდხანს, ასრულებდა ეს ოქროს ხელი თავის მოვალეობას მეტად სამართლიანად, და არ მოიპოვებოდა იმ ქვეყნად კაცი რომელიც უმადური ყოფილიყო მისი გადაწყვეტილობისა.

იმ დროს, როდესაც ეს ხელი მოსამართლობდა, ორი კარგი მეგობარნი ცხოვრობდა; ერთი იყო მეჩექმე პაპიკა, და მეორე ღურგალი—ტაპიკა.

ტაპიკამ პაპიკასგან ისესხა ათი ოქრო და თავის ვადაზედ არ გაღუბადა.

როდესაც დრო დადგა, ტაპიკამ უარი განუცხადა და გადგინადნო. მეორედ ხომ აღარ მოგცემო.

შესწუბდა პაპიკა და თანაც განრისხდა: როგორ, ჩემი სიცოცხლე ვიშრომე, ერთი ათი ოქრო ძლივს შავი დღისთვის შევკრიბე და იმასაც სხვა მართმევსო—ეს ხომ უსამართლობა არისო. არ იქნება, უნდა ვუჩიელო ტაპიკასო, თუმც სასამართლოში თრევა დიდი მოსაწონი არა არის რაო. მაგრამ ერთს კიდევ ვსციდი, ამზობდა პაპიკა წავალ ტაპიკას ვსთხოვ, ეგებ სინდისმა გასტეხოს და ფული უჩივლელად მომცესო. წავიდა. ტაპიკა შინ დახვდა.

— კაცო, ხომ არ გაგიებულხარ, ფულს მეორედ როგორა მთხოვეო, ხმაც არ ამოაღებინა, შეპკივლა ტაპიკა.

— მაშ თუ ეგრე უარზედ ხარო, წავიდეთ ოქროს ხელის წინ წარვდგეთ და დავიფიცოთ, იმან გაგვასამართლოსო, ედავებოდა პაპიკა.

— ძლიიან კარგი სთქვა ტაპიკამ. მეორე დღეს უნდა წამდგარიყვნენ ოქროს ხელის წინ.

დურგალმა ტაპიკამ იმ ღამეს აიღო თავის მსხვილი ხელის ჯოხი, და სიგძებზედ გაბურღა და შიგ ათი ოქრო ჩამოლა. პაპიკა და ტაპიკა წარსდგნენ ოქროს ხელის წინ.

ჯერედ პაპიკამ შესწივლა; ამ ჩემს მეზობელს ათი ოქრო ვასესხე და აღარ მაძლევსო.

მერმედ რიგი მოვიდა ტაპიკაზედ. ტაპიკამ ხელში რომ ჯოხი ეჭირა, პაპიკას გადასცა და სთხოვა:—ერთი ეს დაიქი, მინდა ორიგ ხელით შევფიცოო.

პაპიკა რას მოიფიქრებდა ტაპიკას ცუდლუტობას. ჯოხი გამოართვა და იმასთანავე, რასაკვირველია, ათი ოქროც ხელში ეჭირა.

— ჰვფიცავ, დაიწყო ხელებ აშვერილმა ტაპიკამ, მე რომ პაპიკასი ათი ოქრო შემართა, მივეცი, მაგრამ, უარზედ არის იგიო.

— არა, არ მოუციიო.



— არა მივეციო იძახდა ტაპიკა, და რამდენჯერაც წარდგებოდა ოქროს ხელის წინ, იმდენჯერ გადასცემდა და გამოართმევდა ჯოხს.


ოქროს ხელის წინ პაპიკაც და ტაპიკაც ორთავენი მართალნი იყვნენ.

დასრულდა მათი დავა. ხალხი ელოდა სამართალს. ოქროს ხელი არა ჩვეულებრივად შინძრა.

პაპიკა ფიქრობდა ხელი მე, მართალს, დამედგმებაო. ტაპიკა—დარწმუნებული იყო, რომ ხელი მისგან მოტყულებელი დარჩებოდა და ათ ოქროს შაირჩენდა

ოქროს ხელი შინძრა და უეცრად მოშლილი ძირს დაეცა. იმ დღიდან სამართალიც მოიშალა: თუ სადმე მართალი პაპიკა სჩივის და ელის სიმართლის აღდგენას, იქ ტაპიკაც სამართლიანად ცრუობს და შლის სამართალს.

3. 6.





ბ ა ნ კ ი

(ფრანგულით)



ებერ იპონელს ჰყავდა ერთი ვაჟი შვილი, სახელით იამა. იამა, იყო ცამეტი წლისა, სუსტი, გამხდარი და ფერმკრთალი; იმის თვლებში სიკეთე იხატებოდა.

ერთხელ დაღამებისას იამას დაუძახა მამამ, რომელიც რამდენიმე დღე ავად იყო.

— შვილო, — ძლივსლა ჩურჩულებდა მამა, თან ხელი შვილის შუბლზე ედო, თითქო დარდი უნდა მოეშორებინა იმის თავიდან, — მე ვგრძნობ, რომ ვკვდები..

პატარა ხანს გაჩუმდა, რომ ამოესუნთქა და მერე განაგრძო:

„მე მდიდარი არა ვარ, საწყალო იამა, და ცოტა რამ შემიძლიან დაგიტოვო: ამ ქოხის ნანგრევები, ნევსკავი, წვრილი ფული, რომელსაც შენ იპოვი ბაღში, ქოთნით მიწაში ჩაფლულს. მე არ გირჩევ ჩემ ხელობის გაგრძელებას, რადგანაც მეთევზეობას შემოსავალი ცოტა აქვს. უფრო კარგს იხამ, რომ წახვიდე დასავლეთისკენ დიდ ქალაქ ტოკიოში. იქნება გამდიდრდე... მშვიდობით“...

თვალ-ცრემლიან შვილს შუბლზედ აკოცა და მოკვდა. იამა ძალიან შეწუხდა, შეუსრულა მამას უკანასკნელი მოვალეობა, საფლავზე მცენარეები დარგო, მერე დაღონებული სახლში დაბრუნდა.



როგორ მოვიქცე წავიდე ტოკიოში... შორს ვრჩები
რე, რა უნდა ვქნა იქა!

ეს ფიქრი მთლად გააფრთხილებდა ხოლმე. ქალაქზე ლა-
პარაკი ხშირად გაეგონა და ძლიერ დიდად ჰქონდა წარმოდ-
გენილი გზაც, რომელიც ტოკიოსკენ მიდიოდა, დაუსრულე-
ბელი ეჩვენებოდა და ეგონა, რომ ვერცკი მიახწევდა...

რა უბედური ვარ! კვენსოდა იამა თვალ-ცრემლიანი..
რა სთქვი? შენ ჩემსებრ უბედური ხარ—? მოისმა გვერდი-
დან ხმა.

იამამ იქით მიიხედა და ცაცხვის ქვეშ შენიშნა ბებერი
კაცი, რომელსაც დიდი წვერი და დიდი თმა ჰქონდა; ისე
ფერმკრთალი და ისე გამზდარი იყო, რომ იამა შეეკრთა.

„მე ავად ვარ, არა მაქვს თავშესაფარი, განაგრძო მთხო-
ვარმა, ბებერი ვარ, მუშაობის ძალა არა მაქვს. უნდა სოფ-
ლიდან სოფელში ვიარო. ეჰ! შენ კი ბედნიერი ხარ შენი
სიყმაწვილით! ტყუილადა ტირი! შენ მუშაობა შეგიძლიან!..
წადი, შენ ჯერ კარგად არ იცი, რა ბედნიერი ხარ!“

ამ სიტყვებმა ძალიან შეაცოდეს ბებერი კაცი იამას,
რომელსაც კეთილი გული ჰქონდა.

„თქვენ მართალი ბრძანდებით, მართლაც რად უნდა ვი-
ტირო; ტოკიოში წავალ ფულის საშოვნელად, როგორც მა-
მამ მიანდერძა. მხოლოდ ჯერ კი გთხოვთ, რომ ეს ქოხი სა-
ჩუქრად მიიღოთ. თუმცა ახალი არ არის, მაგრამ საწყაფია,
რომ თქვენ შიგ უფასოდ იცხოვროთ. ინებეთ ეს ნავესკავიც,
ამითი თევზს დაიჭერთ და გამოიკვებებით. ამ რიგად თქვენ
აღარ დაგჭირდებათ თავშესაფარის ძებნა“.

სახლი ბებერს გადასცა; ჩაიღო ჯიბეში ფული, ტანის-
სამოსით სავსე პატარა ბოხჩა ჯოხზე დაიკიდა, მხარზე გადი-
დო და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას.

გზა ზღვის პირს მისდევდა. ტალღები ოქროსფერ ქვი-
შას აწყდებოდნენ და სტოვებდნენ ლოკოკინებს, რომლებიც
მზეზე ისე ბჭყვინავდნენ, როგორც აღმასი. გუბებში დიდი
კიბოები დაცოცავდნენ.

ერთ ალაგს იამა გაკვირვებული შედგა: იმის წინაშე
შაზე იდგა დახრილი კაცი და გულმოდგინედ რაღასაც ეძებდა.
რას ეძებთ განა? ჰკითხა იამამ.

— მე ვეძებ ცის ფერ ლოკოკინას, უპასუხა უცნობმა
და წამოდგა. ერთი მიპოვე და ფულს მოგცემ.

იამამ იფიქრა, ეს კაცი გაგიჟებულაო: ცის ფერი ლო-
კოკინები ზღვის პირას ბევრი ეყარა და, ვისაც უნდოდა,
უნდა დახრილიყო და აეღო.

„მე არა ვხუმრობ, უთხრა უცნობმა, ერთი მიპოვე და
მერე გეტყვი რაღაც მინდა“.

იამამ მისცა მაშინვე მშვენიერი ბრკყვილა ლოკოკინა,
რომელიც იმის ფეხთან ეგდო. უცნობმა სახელი ჰკითხა; მე-
რე უთხრა:

„გამიგონე, გულადი ხარ?“

— ჰო! უპასუხა იამამ; აქამდის არაფრისა არ შემშინებია.

„კარგი! წუხელი საკვირველი სიზმარი ვნახე. აჩრდილმა
მაჩვენა მახლობი ტყე, რომელშიც ერთი გამხმარი ხე დგას.
ხის ძირში ქანდაკება არის. ამ ქანდაკების ქვეშ მიწა იმდენი
უნდა ითხაროს, მინამ ქვის ფილანდაგი გამოჩნდება. ფილან-
დაგის ქვეშ კიბეა, რომელიც ჩადის მიწაში, საცა ოქროთი
საესე საყდარია; მაგრამ შესაეალს დიდი გველი უდარაჯებს.
ძნელი ის არის, რომ ის დარაჯი უნდა მოიკლას, და აი იმი-
ტომ მჭირდება ამხანაგი, რომ შევასრულო ჩემი განზრახვა.
მე გადავწყვიტე ამხანაგად ის ვიყოლიო, ვინც პირველი შემ-
ხედება და მომცემს ცისფერ ლოკოკინას... არ წამომყვები
განძის საძებნელიდ?“

ძალიან კარგი, უპასუხა იამამ.

ორივემ გასწიეს ტყისკენ, რომელიც შორს მწვანედ
მოჩანდა. ის იყო ცაცხვის ტყე.

იამამ დაუწყო ამხანაგს სინჯვა. მაღალ-მაღალი გამხდარი
კაცი იყო, ჩაფიქრებულსა ჰგავდა. მშვენიერი წითელ ყვავი-
ლებიანი და ვერცხლით ნაკერი ლურჯი აბრეშუმის ტანისა-
მოსი ეცვა.



უცნობმა გამოჰკითხა იამას შიმის ვინაობა; სთქვა, რომ ეს
 ლაც ვიცნობდიო. როდესაც გაიგო, რომ სახლი ბავშვს
 მთხოვრისათვის ეჩუქებინა, უთხრა:

«გ შენი ქვევა შენ გულკეთილობას ამტკიცებს; თუ
 ისეთივე ჰქვიანი და გულადი ხარ, როგორც კეთილი, შენ
 დიდი კაცი გახდები!»

მალე ტყესთან მივიდნენ და შიგ შეიმალნენ.

უნდა ხმელი ცაცხვი ვიპოვოთ. იმის ქვეშ ქანდაკება
 არის, სთქვა უცნობმა; კარგა ეძებე, თუ ვიპოვით შენი ბე-
 დი იქნება...»

იამა კარგა ათვლიერებდა, მაგრამ ვერა პოულობდა.
 ბავშვს თავისი ამხანაგი გიყად ეჩვენებოდა: როგორ იპოვოს
 ვინმე ის ხე, რომელიც მხოლოდ სიზმარში ჰქონდეს ნახუ-
 ლი! დაღამდა. მაშინ უცნობმა დაანთო დიდი ცეცხლი, მის-
 ცა შეილდ-ისარი, თითონ წამოწვა ხის ძირში და უთხრა:

«მე დავიძინებ, შენ იფხიზლე, რომ ნადირი არ მოგვე-
 კაროს და არ წაგვახდინოს. აი შეილდი; ეცადე, კარგად
 მოიხმარო.»

ცოტა ხანს შემდეგ ჩაეძინა კიდევ.

სწორედ გიყია! მე სრულებით არ მესმის, რა უნდა ჩემ-
 გან, ფიქრობდა იამა. ცეცხლს ახლო უჯდა. ტყე ბნელი და
 ჩუმი იყო. ეს სიჩუმე ძილსა ჰგვრიდა; შიშის კი შეეპარა
 ბავშვს გულში; დამალვა უნდოდა. მაგრამ ვერა ბედავდა.
 ნანობდა, რომ ამ უცნობს გამოჰყვა. რას აპირებს? გიყი ხომ
 არ არი?... რომ შიში მოეშორებინა თავიდან, ლილინი და-
 იწყო. უეცრად რალაც გამოეცხადა. ბავშვი წამოვარდა და
 ყვირილი დაუწყო მძინარეს, მაგრამ ვერ გააღვიძა.

ნადირის ბლავილია აცნობა, რომ იმის წინ დათვი იყო
 საბრძოლველად მომზადებული. საშიხელმა მდგომარეობამ
 დაუბრუნა ბავშვს გონება და სიმამაცე. სტაცა ხელი შეილდ-
 ისარს და სტყორცნა; ისარი დათვს სხეულში ჩაერქო. დათვი
 გაბრაზდა, უკანა ფეხებზე დადგა. მხეცი დიდი და ლონიერი
 იყო, დიდი მოშავო ბეწვი და ბრიალი თვალები ჰქონდა.

შეშინებულმა იამამ უკან დაიხია; დაუწყო ამხანაგს ხილი, მაგრამ ამაოდ,—ის გულიანად ხვრინავდა.

დათვი უახლოვდებოდა. იამა მიხვდა, რომ იღუპებოდა და გადასწყვიტა, ადვილად არ დანებებოდა. მოიკადა, რომ დათვი მიახლოვებულყო. დაუმიზნა შიგ შუბლში და ესროლა. კრილობა სასიკვდილო იყო. დათვი წაიქცა. იამა საბტად დარჩა,—თავისი ვაჟკაცობა რომ ნახა. ფთხილად მიუახლოვდა, რომ ენახა, კვდარია თუ არა. დათვი აღარა სუნთქავდა. ბავშვმა სიხარულით ტაში შემოჰკრა. თენდებოდა, ფრინველებმა გალობა იწყეს.

უცნობს გაეღვიძა და ადგა.

ნახეთ ჩემი ნანადირევი! დაუძახა იამამ და დათვზე უთითა.

— მართლაც რომ კარგი რამ არის!... მერე განაგრძო; წუბელის ბიზმარში ენახე... თურმე სხვა ტყეში შევსულვართ, — გზა შეგვშლია. გავუდგეთ გზას.

იამა ვერა ბედავდა დალაღვაზე ჩივილს და მისდევდა ამხანაგს; თან ფიქრობდა, აღარ გავყვები ვისმე უცნობსაო.

ბავშვს უნდოდა დაენებებინა თავი ამ კაცისთვის, მაგრამ არ იცოდა სად წასულიყო... მეორე ტყეში შევიდნენ. იამამ დაუწყო ხეებს შინჯვა. ძალიან დაიქანცა, ეძინებოდა, თვალეები ეხუტებოდა, თავი დამძიმებოდა, შიოდა და სწყუროდა, მაგრამ თავს იმაგრებდა, მთელ ძალღონეს ხმარობდა, რომ დაღლილობას მორეცოდა... მთელი დღე ეძება, მაგრამ ვერას გახდა, ვერა იპოვა რა...

უნდა ვიპოვოთ! უგქველად უნდა ვიპოვოთ! ამბობდა უცნობი.

მზე ჩავიდა. იამა უღონობასა გრძნობდა, გაფითრდა და მიწაზე დაეცა.

ეგ რა ამბავია! დაუყვირა უცნობმა და მრისხანე სახით ბავშვს მიუახლოვდა. შენ წიწილაზე უღონო ყოფილხარ ეგ არის შენი გულადობა?!

— ბატონო, ნება მომეცით ცოტა დავისვენო. მაპატიეთ, რომ აღარ შემიდლიან გდიოთ. რა ვქნა, ძალა აღარა მაქვს?

— დაისვენე, შვილო! უპასუხა მაშინ უცნობმა კეთილშობილმა კილოთი. შენი გამოცდა გათავდა. მე მინდოდა შენახა, რამდენად გულადი ხარ. ჩემმა ბატონმა, პრინც ტიშომ, მიბრძანა მეპოვა იმის შვილისათვის ამხანაგი, — კეთილი, გულადი და მომთმენი. ეს სამი ძირითადი ღირსებაა პატიოსან კაცისა.

შენი მთხოვარისადმი საქციელი შენს გულ-კეთილობას ამტკიცებს; მე ვსინჯე შენი გულადობა და შენი მოთმინება ამ არაკულ განძით. გამოცდამ სრულიად დამაკმაყოფილა. შენა ხარ ის ყმაწვილი, რომელსაც მე ვეძებ. განძი შენშივეა, იმიტომ რომ სიკეთის შქონი უფრო მდიდარია, ვიდრე მთელი ქვეყნის სიმდიდრისა. მაშ წამოყე, რომ მიიღო ჯილდო და ბედნიერად იცხოვრო ჩემი ბრძანებელის სასახლეში.

იამამ მოიკრიბა ძალ-ღონე და გაჰყვა უცნობს ტიშის სასახლისაკენ. როცა კაცმა უაპბო სასახლეში ბავშვის მოთმინება, გულკეთილობა და სიზამაცე, პრინცმა იამას აკოცა; მაშინვე შეუკერვინა მშვენიერი ტანისამოსი და წაიყვანა თავის შვილთან, რომელსაც უთხრა:

„აი ის ამხანაგი, რომელსაც გპირდებოდით. გიყვარდეს, რადგანაც კარგი გულისაა და ისეთივე პატიოსანია, როგორც შენნი წინაპარნი“.

ანტონ





მითლბია

ტროადის ომი

შებრძოლება

რიაშოსის ილონში დაბრუნების შემდეგ ჰექტორი და ოდისსეესი დაუყოვნებლივ შეუდგნენ იმ ადგილის გაზომვას, საცა პარისი და მენელაოსი უნდა შებრძოლებოდნენ ერთმანერთს. ორთავე მხედრობის შორის საპარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. მეომრებს ხელები ცისაკენ აღეპართ და მხურვალედ ღმერთებს ევედრებოდნენ: „ცისა და ქვეყნის მპყრობელო, ძლიერო ღმერთების მამათ მთავარო ზევსო! გვედრებით, ამ ორ მებრძოლთა შორის, დაამარცხო ის, ვინც ამდენი მწუხარება და უბედურება თავს დაგვატება, ვისაც ბრალი მიუძღვის ჩვენი მშობლებისა და ცოლშვილის გამწარებისა და უდროვოდ დაობლებისა! გვედრებით, სასტიკათ დასაჯოთ ჩვენი ოჯახისა და ცოლშვილის ამწიოკებელი, გახოვთ ჯოჯოხეთში წარგზავნოთ, მისი ავი სული სამუდამო სატანჯველად. ჩვენ კი, ძლიერო და დიდებულიო ზევსო, მოგვანიჭე სამუდამო მშვიდობა, მკიდრო და ძლიერი მეგობრობა!“ ასე გულმხურვალედ ლოცულობდა ელლინთა და ტროადელების მხედრობა.

ჰექტორმა და ოდისსეესიმ წილი ჰყარეს, თუ ვის უნდა გაეტყორცნა პირველად ისარი, პარიზს თუ მენელაოსს. წილი ზედა პარიზს. ორივე მოწინააღმდეგე მხედრობა განსაზღვრულ ადგილას რიგზედ დაეწყო ფალაენების შებრძოლების მოლოდინში.

მძიმედ შეიარაღებული პარიზი ბრძოლის ველზე გამოვიდა. მშვილდი, ისარი, ძვირფასი საგულისპირე, ვერცხლითა და ოქროთ მოვარაყებული ხმალი და სპილენძის ჩაჩქანი ერთი ორად ამშვენებდნენ ისედაც მოხდენილ პარიზს. მენელაოსიც არა ნაკლებად იყო შეიარაღებული. ორივე მებრძოლი, რომელთა ძვირფასი იარაღი შზის სხივებზედ ათასგვარად ბჟყვრილობდა, და პრისხანედ შეჭყურებდნენ ერთმანერთს. შიშის ზარს ჰგვრიდა ბრძოლის ველის სანახაობა. აქვევლთა და ტროადელების მხედრობა სულ განაბული შესცქეროდა ბრძოლის ველზედ გამოსულ თავგანწირულ მეომრებს.

პარიზმა მაგრად მოიმარჯვა მშვილდ-ისარი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მძლავრად სტყორცნა თავის მოსისხლე მტერს მენელაოსს. მძლავრად ნასროლი ისარი ზედ ფარზე მოხვდა მენელაოსს, მაგრად შეკედილს ფარს ვერა დააკლო-რა და თავმოგრებილი მახლობლად იქვე მიწაზედ დაეარდა.

ახლა მენელაოსმა წამოაელო ხელი მშვილდ-ისარს და, სანამ მტერს სტყორცნიდა, ასე შეევედრა ღმერთების მამათ მთავარს: „მაღალო და ძლიერო ზევსო! მომეც შეძლება ღირსეულად დავსაჯო ჩემი მოსისხლე მტერი, რომელმაც ასე უსირცხვილოდ შეურაცყო მეცა და მთელი საბერძნეთიც. ძლიერო ღმერთო, მომეც შეძლება სასტიკად დავსაჯო მთელი საბერძნეთის შეურაცხყოფელი, რომ მომავალმა თაობამ კეუა ისწავლოს და პატივისცემისა და სტუმართმოყვარეობის ნაცვლად უმადურობა არ გამოიჩინოს!“

ამ სიტყვებთან ერთად მენელაოსმა მძლავრად გაისროლა ისარი. მძლავრად ნატყორცნმა ბასრმა ისარმა შუაზედ გააპო პარისის ვერცხლივით მოელვარე ფარი და მაგარი ჯავშანი და ჩამოჰგლიჯა ჯავშნით დაფარული ტანთსაცმელი. მაშინ მენელაოსმა დაუყონებლივ იშიშვლა ბასრი ხმალი და მძლავრად დაჰკრა იგი მტერს სპილენძის ჩაჩქანზედ. ბასრი ხმალი ნაკუწ ნაკუწად დაიმსხვრა სპილენძის ჩაჩქანზედ და ხელიდან გაუვარდა მამაც მეომარს. „მაღალო ღმერთო!“



შეპყვირა მწარედ მენელაოსმა: „რა რიგ შეუბრალებლად ცვეი! შენებრ შეუბრალებელი, ვგონებ არც ერთი ღმერთი არ მოაპოვება ცაში! რომ ჩემი მძლავრად ნატყორცნი ისარი არ გამტყუებოდა და ჩემი ბასრი ხმალი ნაკუწ-ნაკუწად არ დამსხვრეოდა, გამარჯვება ჩემი იქნებოდა და ამნაირად ბოლო მოედებოდა ტროადელებისა და აქვევლების ასე ხანგრძლივ ტანჯვასა და უბედურებას!“

რამდენიმე წამით შესდგა მენელაოსი, თითქო არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ელვის სისწრაფით მენელაოსმა სტაცა ხელი პარისს ჩაჩქანის ძუიან ქოჩორში და ელლინთა მხედრობისაკენ მიათრევდა თავის მოსისხლე მტერს. პარისი უთუოდ დაიღუპებოდა, სიცოცხლეს გამოცხალმებოდა და ამნაირად მენელაოსი საუკუნოდ დიდების სახელს მოიხვეჭდა, რომ სრულიად შეუმჩნეველად ბრძოლის ველზედ აფროდიტა ქალღმერთი არ მოსულიყო და პარისისათვის ჩაჩქანის თასმები, არ გადაეჭრა, რომელიც ნიკაპს ქვეშა და კისერზედ მაგრად ჩამბული ჰქონდა, მენელაოს მხოლოდ ჩაჩქანილა შერჩა მძლავრს ხელში. განრისხებულმა ელლინთა გმირმა ჩაჩქანი აქვევლების ბანაკისაკენ გადაისროლა და დაუყონებლივ უხილავად დაკარგულ პარისს უკან გამოუდგა. მენელაოსს ეგონა, რომ პარისი სადმე ტროადელების რაზმებში დაიმალებოდა და იქითკენ მიაშურა. მაგრამ არა, პარისი ტროადელების რაზმებში სრულიადაც არ იმალებოდა. აფროდიტა ქალღმერთმა თავისი საყვარელი გმირი შებურა შავი ღრუბელით, ყველასაგან შეუმჩნეველად და უხილველად გაატარა ბრძოლის ველი და მიჰგვარა ელენეს მის სურნელებით სავსე ოთახში. შემდეგ აფროდიტა ქალღმერთმა მოხუცი მოსამსახურის სახით გამოეცხადა მშვენიერ ელენეს, რომელიც ამ დროს ისევ სკეის ალაყაფის კარებზედ წამოდგმულ კოშკზედ იჯდა, და ასე უთხრა: „წამობრძანდი, მშვენიერო ელენე, პარისი გელოდება სახლში, იგი უკვე დაბრუნდა ბრძოლის ველიდან. პარისს ისე მშვენიერი და კმაყოფილი პარისს სახე და გამოიმეტყველება აქვს, რომ გეგონებათ, ბრძო-


ლის ველიდან კი არა, რომელიმე სამხიარულო მეჯღინისა და დაბრუნებულაო.

ელენემ მღუმარედ მოისხა ტანთ თავისი ვერცხლისფერი, ბჰყვრიალა ტანთსაცმელი და შეუშინველად გაეშურა თავის სასახლისაკენ. ელენე ფეხაკრეფით შევიდა ოთახში, პარისის პირდაპირ ჩამოჯდა სავარძელზედ და ჰკითხა: „უკვე დაბრუნდი ბრძოლის ველიდან? ღმერთო ჩემო, განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ ჩემი წინანდელი მეუღლის ძლიერი ხელით დაღუპილიყავ! შენ არ იყავ, რომ მედიდურობდი, შენგენელოასზედ უფრო ძლიერი ვარ და ბრძოლის ველზედ უთუოდ ვძლევა? დიახ, კარგია ღმერთმანი ესეთი გამარჯვება! შენ ამ გამად თვითოეული ტროადელი ზიზლით გიგონებს, ყველას სძულხარ ასე სამარცხვინოდ უკუქცევისათვის, შენგელოასს კი ყველანი აღიდებენ, ყველას გმირად მიაჩნია ესეთის გამარჯვებისათვის! ღმერთო ჩემო! განა სირცხვილით გამოგეყოფა სადმე თავი!“

— ელენე, ჩემო კარგო, ნუ მისერავ ესეთი მწარე სიტყვებით ისედაც დაკოდილს გულს! შენი მწვავე სიტყვები გულის სიღმეში მხედება და მწუხარებას ერთი ორად მიდიდებს! რა ვუყოთ, რომ ამ უამად შენგელოასმა მძლია ათინა ქალღმერთის დახმარებით! სულ ხომ მას არ არგუნებენ ღმერთები გამარჯვებას! ჩვენსკენაც ერთხელ მაინც გადმოიხედვენ და მაშინ ხომ უთუოდ ვძლევ დღევანდელის გამარჯვებით თავმოწონე შენგელოასს!“

ესეთი სიტყვებითა ამშვიდებდა პარისი თავის მშვენიერ მეუღლეს. ელენე კი ამ დროს უსაზღვროდ იტანჯებოდა და მღულარე ცრემლებს ნაკადულებრ აფრქვევდა.

ა. მიქაბერიძე.





ხალხური ლექსი

(წარმოდგენილი თეო კანდელაკის მიერ)

დახე, რა გვიყო ელიამ,
რა საქმე ჩაიდინაო:
ჯერ ჩამორეგვა ყანები,
ვენახს დაიდო ბინაო!..
მუშა კაცები ჩივიან:
„რა ძლიერ წაგვახდინაო;
ზედი-ზედ აღარ გვიაჯა,
როგორც მაისის წვიმაო;
ისე გახადა ხეხილი,
ტოტი არ შეარჩინაო!..
ან მკვდარი ჩითი დავმარხოთ,
ან ჩვენ რა ვკამოთ შინაო?!“

კობორჩხალა და მისი შვილი

(ეზოპის იგავი)

კობორჩხალა შეიღს გაუწყრა:
—საძაგელო, მასხარაო,
ისეთ ნაირად ლახლოხებ,
როგორც მოშლილი ჯარაო;

იკლანები, იპარკუები,
იგრიხები, გულს მირეგო,
გაგლახავ, თუ გაგივლია!..
უხეიროდ ე მგერეო!..


შვილმა უთხრა:—დედა-ჩემო,
ტყვილად მაძლევ საყვედურსო:
შენა გზადივ სიარულში,
შენვე შკიცხავ უბედურსო!

როგორ უნდა სიარული,
აბა, ჯერ შენ მაჩვენეო?
თუ ისე არ გავიარო,
მაშინ გინდ შემაჩვენეო!..



მ. ლელაშვილი

რ ბ უ ს ე ბ ი

(წარმოდგენილი ბრიუსელის პატარა ქართველ ვახტანგ ჯაბადარისა
და მის ამზანაგებისაგან).



ნ



მე-8 №-ში მოთავსებულ შარადის და რბუსის აღსნა:

შარადის აღსნა—ბეკი.

რბუსის აღსნა:—ჩიტო მიფრინავს.

უოველ ღლიური ბაზეთი

„ამირანი“



მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

ბაზეთის ფასი:

წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—	7 მანეთი.
ნახევარი წლით	„—4 მანეთი.
ერთი თვით	„—90 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა უოველთვიურ სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„ბანათლება“-ში

(წელიწადი პირველი)

წლიური ფასი ხელის-მომწერთათვის 5 მანეთი, ნახევარი წლით—3 მანეთი. სამი თვით 1 მან. 60 კაპ.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში; „ნაკადულის“ რედაქციაში და „იდეალის“ სტამბაში (კონსტანტინოპოლის ქუჩა № 6.

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში“ ისიდორე კვიციანიძისთან.

открыта подписка на 1908 годъ

на газету

ЗАКАВКАЗЬЕ

ТРЕТИЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города
на годъ 6 руб.—коп	на годъ 8 руб.—коп
на полгода. 3 руб. 50 коп	на полгода 4 руб. 50 коп

Помѣсячно повсюду 75 коп., отдѣльный № 5 коп. Заграницей вдвое

Тифлисъ Головинскій пр., д. Манташева, № 6.

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА.

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადუ-ლი“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“. 2-რე, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 3 წ წიგნისა რჩება ისევე ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას

ვინც მისალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.